# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 10 ნოემბერი, 2011 წელი.

№212 (6843)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## არ იქნება ფარული მონოპოლიები, ოლიგოპოლიები, კარტელური ფასები ②

## ჩვენ სააკაშვილს არჩევნების გზით შევცვლით ⑧



## ივანიშვილის ფაქტორი — შესაძლებლობები და საშიშროებები ③

## მეცნიერების საერთაშორისო დღე და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

**2001 წელს იუნესკოს გენერალური კონფერენციის 31-ე სესიამ 10 ნოემბერი გამოაცხადა მშვიდობისა და განვითარებისათვის მეცნიერების ყოველწლიურ საერთაშორისო დღედ, რომლის მიზანია ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე მეცნიერების მიღწევების დემონსტრირება, მეცნიერების პოპულარიზაცია, აგრეთვე მისი გავლენის გაძლიერება საზოგადოების მშვიდობიან და სტაბილურ განვითარებაზე.**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, იუნესკოს დადგენილების შესაბამისად, 10-11 ნოემბერს აღნიშნავს მეცნიერების მსოფლიო დღეს სამეცნიერო კონფერენციის სახით, სადაც ამ დღესთან დაკავშირებით მოხდება გამოჩენილ მეცნიერთა ყოველწლიური სახელობითი აკადემიური პრემიებით დაჯილდოება ბოლო ხუთი წლის მანძილზე შესრულებული საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომებისათვის...

როგორც ცნობილია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია თანამედროვე მათემატიკისა და მექანიკის, ფიზიკისა და ასტრონომიის, ფიზიოლოგიისა და ბიოლოგიის, ქიმიისა და გეოლოგიის, ენათმეცნიერებისა და აღმოსავლეთმცოდნეობის, ისტორიისა და არქეოლოგიის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის და ცოდნის სხვა დარგებში; ყოველივე ამან სახელი გაუთქვა მთელს მსოფლიოში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და ჩააყენა იგი მსოფლიოში ცნობილი სამეცნიერო ცენტრების მოწინავეთა რიგებში...



ჩვენი ქვეყნის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ბოლოდროინდელი რეფორმირების შედეგად ჩამოყალიბებული სტრუქტურა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციულად არსებული სტრუქტურისაგან და უახლოვდება იმ დასავლური აკადემიების სისტემას, სადაც კვლევითი ინსტიტუტები შედიან უშუალოდ უმაღლეს სასწავლებლებსა და უნივერსიტეტებში, ხოლო მეცნიერებათა აკადემია, როგორც სახელმწიფო საბიუჯეტო დაწესებულება, წარმოადგენს სხვადასხვა ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში მომუშავე გამოჩენილ მეცნიერთა ელიტურ გაერთიანებას, თავისი განსაკუთრებული სტრუქტურული ერთეულებით; ასეთ სტრუქტურებში ხდება ქვეყანაში სხვადასხვა მიმართულებით შესრულებული ყველა კვლევითი სამუშაოს შეფასება-ატესტაცია და მათგან საუკეთესოების მაღალრეიტინგულ აკადემიურ ჟურნალებში პუბლიკაცია; აგრეთვე ბოლო ხუთი წლის მანძილზე სხვადასხვა დარგში გამოქვეყნებული საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომების გამოჩენილი ქართველი მეცნიერების სახელობითი პრემიებით დაჯილდოება, ახალგაზრდა მკვლევარების პრემირება, მათი მატერიალური წახალისება, ხანდაზმულ მეცნიერთათვის მატერიალური დახმარების გაწევა და სხვ.

იხ. 4 გვ.

## თბილისში რატომღაც სამსახურიდან გაუშვეს რობერტ სტურუა და სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგეს ვახტანგ კიკაბიძეს ⑤



## დანაშაული, რომელიც სირცხვილზე მეტია ⑨

## შორს მიმავალი დასავლური გეგმები ⑥




## „ნამალი“, რომელიც ხშირად ნამალს სჯობს! ⑦



# არ იქნება ფარული მონოპოლიები, ოლიგოპოლიები, კარტელური ფასები

**დღეს საქართველოს საინვესტიციო გარემო სოლიდური ინვესტორებისთვის მიმზიდველი არ არის, განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა რადიო „კომერსანტისა“ და commersant.ge-ს შეკითხვებზე პასუხისას**

**შეგახსენებთ: რამდენადაც „კომერსანტს“ არ მიეცა საშუალება ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციაზე ბიზნესისა და ეკონომიკის საკითხებზე შეკითხვა დაესვა, „კომერსანტის“ მკითხველისთვის საინტერესო კითხვები ბიზნესმენს საიტის საშუალებით მივაწოდეთ.**

**გთავაზობთ მათზე ბიძინა ივანიშვილის პასუხებს:**



**— როგორ ხედავთ საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტრატეგიას უახლოესი წლების განმავლობაში?**

— ეკონომიკის მომავალი უნდა გავიაზროთ ქვეყნის სტრატეგიული ამოცანების კონტექსტში. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ვითარება მსოფლიოში. 2008 წელს დაწყებულმა მსოფლიო საფინანსო კრიზისმა რადიკალურად შეცვალა ვითარება G20-ში შემავალ ქვეყნებში — რეგიონული ეკონომიკები რყევის ფაზაში შევიდნენ, დღემდე ვერ ხერხდება დიდი ეკონომიკების ქვეყნებში რეცესიის შედეგების აღმოფხვრა და მისი განმეორების თავიდან ასაცილებლად პრევენციული ზომების გატარება. ბუნებრივია, ამას თან ერთვის საქართველოს ეკონომიკის ფაქტობრივად კრიზისული მდგომარეობა, რაც მთავრობის უნიათო საქმიანობის შედეგია.

ჩვენ საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტრატეგიას მოვიაზრებთ ქვეყნის განვითარების მთლიანი სტრატეგიული კონცეფციის ფარგლებში. ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რაც პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ გადავდგი, ის იყო, რომ მივმართე მეცნიერებს, ექსპერტებს, შეემუშავებინათ ქვეყნისა და მისი ეკონომიკის განვითარების სტრატეგია და ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტზე მათ უკვე დაიწყეს მუშაობა. საქართველოს შეუძლია და უნდა ჰქონდეს დინამიკური, ინოვაციებსა და უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მდგრადი ეკონომიკა.

**— ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ამჟამინდელი ეკონომიკური კურსიდან, რას დატოვებდით და რას შეცვლიდით?**

— ეკონომიკური კურსიდან რაღაცას დავტოვებდი, იგი რომ არსებობდეს. რა დავტოვოთ იქიდან, რაც არ არსებობს? ის, რაც დღეს არის, ცალკეული ბუნდოვანი შეხედულებების ეკლექტიკური ნაზავია და იმპულსური იმპროვიზაციების დონეს არ სცდება. საუბარი ტურიზმის ბუმზე, ნიანგებისა და ბაყაყების მოშენებაზე მხოლოდ უნიჭო იუმორისტული შოუსთვის თუ გამოდგება.

**— პრესკონფერენციაზე ხაზი გაუსვით, რომ თქვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება სამუშაო ადგილების შექმნას დაეთმობოდა. თუ შეიძლება დაგვიკონკრეტეთ, რა გეგმა გაქვთ ამ მიმართულებით?**

— მთავრობა, ხელისუფლება, სამუშაო ადგილებს არ ქმნის. სამუშაო ადგილებს ქმნის ბიზნესი, ხოლო მთავრობა ქმნის პირობებს ბიზნესის განვითარებისთვის. საქართველოში დღეს იგნორირებულია ეს მარტივი ჭეშმარიტება. მე, ბუნებრივია, არ შევუდგები ბუტაფორულ, საჩვენებლად, რამდენიმე კვირისთვის გახსნილ საწარმოებში უმუშევრების ჩამოტარებას და ვითომ დასაქმებას. ჩვენ დავიწყებთ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის მიღწევით, სამართლიანი სასამართლოს ჩამოყალიბებით, რათა საქმიანი აქტივობა ხორციელდებოდეს კანონის უზენაესობის პირობებში, დაცული იყოს კონტრაქტის ხელშეუხებლობა და რაც მთავარია, მივაღწევთ იმას, რომ ქვეყნის პირველ პირებს ექნებათ ურყევი პოლიტიკური ნება, არ ჩაერთონ ბიზნესში, მიაღწიონ ხელისუფლების აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო შტოების აბსოლუტურ ჩაურევლობას ბიზნესის საქმიანობაში. ასეთი ვითარება წარმოშობს ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს, რაც თავისთავად აისახება მეტი სამუშაო ადგილის შექმნაში.

დასაქმება იქნება ჩვენი ყოველდღიური ზრუნვის საგანი. კონკრეტული პროგრამა გაითვალისწინებს უმუშევართა და, საერთოდ, მოქალაქეთა პროფესიულ მომზადებასა და გადამზადების მთელ სისტემას, რომელიც, ჩვენი აზრით, იმ კონცეფციის შესატყვისი იქნება, რომელსაც ექსპერტები და სპეციალისტები ამზადებენ.

**— როგორ შეაფასებდით დღეს არსებულ ბიზნესგარემოს და რა კონკრეტულს შესთავაზებთ ბიზნესს ამ გარემოს გასაუმჯობესებლად?**

— ბიზნესგარემო დღეს საქართველოში არასახარბიელოა. რეიტინგები, რომლებიც სხვადასხვა სააგენტოს, მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეგიდით ქვეყნდება, ემყარება არაზუსტ და ხშირად გაყალბებულ მონაცემებს. სტატისტიკური უწყების ინფორმაცია ნდობას არ იმსახურებს. ამიტომ, საუბარი ბიზნესის დაწყების სიიოლეზე, სხვადასხვა რეიტინგში მაღალ ადგილზე, ყოველგვარ რეალურ საფუძველს არის მოკლებული. დღეს საინვესტიციო გარემო საქართველოში მიმზიდველი არ არის სოლიდური ინვესტორებისთვის. ამის გამოსასწორებლად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა იქნება საჭირო და, უწინარესად, ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენელთა ჩაურევლობა სამეწარმეო საქმიანობაში. თუ ამას დავუმატებთ სამართლიან სასამართლოს, მოქნილ საარბიტრაჟო სისტემას და დავების გადაწყვეტის ეფექტურ მექანიზმს, საქმეს მნიშვნელოვნად წავწევთ წინ.

თუ ამას დაემატება მეწარმისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე საგადასახადო კანონმდებლობა, წრედი შეიკვრება და ბიზნესიც ჯანსაღ გარემოში შესაბამის შედეგს მოგვცემს — აღარ იქნება ფარული მონოპოლიები, ოლიგოპოლიები, კარტელური ფასები, ხოლო მომგებიანი ბიზნესები აღარ იქნება გადანაწილებული ხელისუფლებასთან შეზრდილ მაფიოზურ კლანებს შორის. ჯანსაღი კონკურენტული გარემო განსაკუთრებით კეთილმყოფელ როლს შეასრულებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში, რაც ტრანსფორმაციული ეკონომიკის ქვეყნებში წინსვლის და სოციალური სტაბილურობის გადამწყვეტი ფაქტორია. დღეს ასე არ არის და ეს ყველამ იცის. დღეს საქართველოში ინვესტორი ვერ შემოვა და ვერც ვერავინ შემოიყვანს ინვესტორს, თუ ხელისუფლების რომელიმე ბოზოლა წარმომადგენელი არ მფარველობს მას.

ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ასე აღარ იქნება. საზოგადოება ამასაც დაინახავს და იმ მნიშვნელოვან მომენტსაც დააფიქსირებს, რომ ჩვენ არა მარტო სწორი ხედვა გვაქვს ეკონომიკისა და ბიზნესგარემოს განსავითარებლად, არამედ შეგვწევს ამ ხედვის რეალიზაციის უნარიც.

## მხარდაჭერა

# „ქართული ოცნება“ — დღევანდელი საქართველოს იმედი

**ბატონი ბიძინა ივანიშვილი საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებას“ აფუძნებს. საინტერესოა, რას ფიქრობენ ამის თაობაზე ჩვენი ცნობილი ადამიანები.**

**გიგა ლორთქიფანიძე:**

— რა უნდა ვთქვა? ადამიანი რომ თავის მოღვაწეობას ოცნებას დაარქმევს და მის კეთილ აღსრულებაზე ძალ-ღონეს არ დაიშურებს, ის არის, რაც დღევანდელ საქართველოს სჭირდება... ამ ადამიანმა უკვე გააკეთა უამრავი სიკეთე... აწიც ღმერთმა გაუმარჯოს მის ყოველ კეთილ ჩანაფიქრს... მართალია, ამჯერად ფიზიკურად ვერ ვარ კარგად, მაგრამ ბატონმა ბიძინამ შეუძლია თავის გვერდით მიგულოს...

**ოთარ მეღვინეთუხუცესი:**

— მოდი, ასე ვიტყვი მოკლედ და კონკრეტულად: „თქვენ იმედი გაუჩინეთ ქართველ ხალხს, ბატონო ბიძინა. ჰოდა, ღმერთმა ეს იმედი აგვისრულოს ადრე და მალე“.

**ნოდარ ლომოური:**

— მადლობის მეტი რა მეთქმის ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიმართ. მე იგი მიმაჩნია დღევანდელ საქართველოში ყველაზე ღირსეულ პიროვნებად. რა თქმა უნდა, მას უნდა დაეარსებინა საზოგადოებრივი მოძრაობა, რომ ცხადად ეგრძნო ერის მხარდაჭერა. და ეს ასეც იქნება — მთელი ერი უკვე უჭერს მხარს ბატონ ბიძინას. აქვე გეტყვით, რომ აღშფოთებული ვარ, ვიღაც-ვიღაცები რომ ცდილობენ ჩრდილი მიაყენონ მის პიროვნებას.

## სარედაქციო ფოსტიდან

# შეეშვით ჩემს წამებას!

**წერილი ხელისუფლებას**

(სტილი დაცულია)

**1998 წელს შეროზიას ქუჩა №10-ში შევიძინე ბინა და პირველივე დღიდან, წინასწარი შეთანხმებით, ორმა მეზობელმა — მე და ქორიძეებმა უკვე დიდი ხნის მანძილზე ჩვენი ბინების სარგებლობაში მყოფი სამზარეულო გავიყავით და დავიწყეთ რემონტი. სანამ სამზარეულოში რემონტი მიმდინარეობდა, ოთახის ფანჯრის თაროზე დავდგი მაგიდის გაზქურა და იქვე მქონდა სამზარეულო.**

საქართველოს ყველა სახელისუფლებო თუ სამართალმწარმოებელმა ინსტიტუტებმა იციან ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა: ვარ მარტოხელა, I ჯგუფის უსინათლო ინვალიდი და სმენადაქვეითებული.

ზამთრის პირია, უკვე ცივა... ამას წინათ დამჭირდა ჩაის ადუღება, გაზთან ერთად თაროზე მიდგას ლამპა, ავანთე ასანთი და ხელის უეცარი მოძრაობით წავაქციე ის. დაიღვარა ნავთი და ავარდა ცეცხლი, მე დავიბენი, ცეცხლი კი გაძლიერდა. მოვიხედე გვერდით. გაზის ბალონი უცებ გავთიშე და მაგიდაზე მდგარ წყლით სავსე ქვაბს ხელი წამოვავლე და ქვაბიანად ვესროლე ცეცხლს, სასწაული მოხდა, ამ წყალმა ჩააქრო ცეცხლი, თუმცა მაინც დამეწვა იქვე ჩამოკიდებული ჭურჭლის ტილო და ფანჯარა... უკვე შემდეგ, როცა სამზარეულო გავმართე, ამ ფანჯრის გამო ბინაში გავაკეთე რემონტი.

21 ოქტომბერს ჩვენმა სატანა ხელისუფლებამ გამითიშა დენი და მამყოფებს წამებაში. მეზობელმა მათხოვა ლამპა, თუმცა მას ვერ ვიყენებ, რამდენადაც ლამპის შუქზე ვერაფერს ვხედავ, უბრალოდ, ორიენტაციისთვის მჭირდება. 3 ნოემბერს ისევ დამჭირდა ლამპა. გადმოვიღე, დავდგი მაგიდაზე და ისევ დაუნახაობის გამო, მოუქნელი მოძრაობის შედეგად წამექცა ლამპა და დაიღვარა ნავთი, კიდევ კარგი, ასანთი ანთებული არ მქონდა, თორემ ამჯერად არაფერი მიშველიდა, რამდენადაც ეს ხდებოდა ლოგინთან ახლოს.

რა გინდათ, თქვე სატანებო, რას მერჩით ამ მოხუც კაცს, რა დაგიშავეთ. ჯერ იყო და მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ნაგროვები კაპიკები, ჩემი სიბერის გარანტი, წამართვით, რომელიც 2002 წელს უნდა მიმეღო (30634 დოლარიძ, ამა წლის აპრილში სააკაშვილის სტრასბურგში ყოფნის დროს, მან თავის მარიონეტ საქართველოდან წარგზავნილ მოსამართლეს უარყოფითი გადაწყვეტილება გამოატანინა ჩემს სარჩელზე. არადა ეს საქმე სტრასბურგის მიერ მიღებული იყო განსახილველად და ელოდებოდა თავის რიგს.

2004 წელს ამდაგვარი ვალები გავუსტუმრეთ სატანა სააკაშვილის ფავორიტებს, მათ შორის, დოკუმენტი მოპოვებულია ერთ-ერთი გაზეთის მეშვეობით, ყაჩაღ და ხულიგან გივი თარგამაძეზე. შემდეგ პრეზიდენტმა მომიჩინა მისი ბანდის წევრი ზაზა რუხაძე, რომელმაც ჩვენს სამეზობლოდ ბინა შეიძინა 2002 წელს და რომელსაც პირველი სამეზობლო დახმარება მე გავუწიე. ამის სანაცვლოდ, მადლობის მაგიერ, შემოჭრილია ჩემს სამზარეულოში 4 კვ.მ ფლობით და ეს ის სამზარეულოა, რომელიც ზემოთ აღვწერე და 1998 წლიდან ჩემი საკუთრებაა. ვერ მონახავთ ვერც ერთ სამოქალაქო კოდექსს, სადაც მცირედი ინტერპრეტაცია იქნება ამ ვანდალიზმის გამამართლებელი. ჩემი უფლება კი დაფიქსირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის №208/4 და მუხლი №494/2.

სააკაშვილმა წამართვა აგრეთვე ყველა შეღავათი, რაც მანამდე მქონდა. მათ შორის 40 კუბ.მ. გაზი ყოველ თვეში უფასო. ესეც არ იკმარა, უკვე ჩემს საკუთრებაში მყოფი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის მიერ შეძენილი პერსონალურად ჩემთვის და ასევე ჩემისთანებისთვის 870 კუბ.მ გაზიდან დარჩენილი 350 კუბ. მ. ყაჩაღურად მიიტაცა!

აქ ერთი ანეკდოტი უნდა გაგახსენოთ:

„ცხენი ურეკავს ცირკის დირექტორს და ეუბნება, ცხენი ვარ და მიმიღე შენთან სამუშაოდო. ცირკის დირექტორი ეკითხება რისი გაკეთება შეგიძლიაო. ცხენი ეუბნება, შე დალოცვილო, ცხენი გელაპარაკები, მეტი რა უნდა გავაკეთო?“ ასეა ჩემი საქმე, მკვდარი კაცი (ჩემი ავადმყოფობით როგორღა ვძლებ!ძ, გელაპარაკები ცოცხალივით, მეტი რა გინდა, თუ არაფერ სიკეთეს არ მიტოვებ, ნუღარ მატერორებ და წამებაში მაინც ნუ მხდი სულს.

რას შვრებით, თქვე სატანებო, ვინ დაგზარდათ, ნუთუ აღარაფერი, მცირედი სინათლეც არ ჩანს თქვენს თვალებში. თქვე ღმერთის მგმობელებო, ლინჩით გაგისწორდებათ ხალხი. შუქი რომ გამეთიშა, თელასის რაიონულ სერვის ცენტრში გამოვხატე ჩემი პრეტენზია, მე მისი თანამშრომლებისთვის გადაბრუნებული სიტყვაც არ მითქვამს, მაინც მოვიდა ზონდერი დაცვის პოლიციელი და პირდაპირ კარისკენ მიმითითა. მე ველარ მივუთმინე და ვუთხარი, რა გინდა, ხომ არ ვჩხუბობ, გამოვხატავ ჩემს ტკივილს. შენ რომ დაბადებული არ იყავი, მე სამშობლოს პატიოსნად ვემსახურებოდი-მეთქი. ჩამავლო მხრებში ხელი და წიხლის კვრით გამომაგდო გარეთ.

თქვე ღვთისგან შერისხულნო, რა ჩაიდინეთ, რა გინდათ, ძლივს გამოჩენილი იმედის ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიმართ სულ რაღაცა ერთ თვეში რამდენი ტვინის ამრევი დანაშაულობანი ჩაიდინეთ ამ ღვთივმოვლენილი ადამიანის წინააღმდეგ. აგონიაში ხართ, თქვენ აღარაფერი გეშველებათ, მაგრამ მეც ხომ მინდა თვალი მაინც მოვკრა სიკეთის დაწყებას საქართველოში.

გამანებეთ თავი, მომეცით კონსტიტუციით მონიჭებული სიცოცხლის უფლება, შეეშვით ჩემს წამებას, მე ვერასოდეს გავხდები თქვენი მაქებარი და, მით უმეტეს, მორჩილი, მე ვარ კანონმორჩილი ადამიანი, ჩემი ცხოვრების წესიც ამის დასტურია.

**ქართლოს ზაქარეიშვილი,**
ქ. თბილისი. 7 ნოემბერი.

განსჯა

# ივანიშვილის ფაქტორი – შესაძლებლობები და საშიშროებები

**ალბათ, ორიგინალური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ყველაზე მეტად ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდის ირგვლივ განვითარებული მოვლენები აინტერესებს. ამ ადამიანმა საკუთარი განცხადებით პოლიტიკაში ჩართვასთან დაკავშირებით ფაქტობრივად მომენტალურად მიიქცია საზოგადოების ძალიან დიდი ყურადღება და ეს ყურადღება ჯერჯერობით არათუ არ მცირდება, არამედ პირიქით, იზრდება კიდეც.**

ამაში ერთი შეხედვით საოცარიც არაფერია – პოლიტიკურ აპათიასა და ნიჰილიზმში მყოფმა საზოგადოებამ, ალბათ პირველად ბოლო წლების განმავლობაში, დაინახა რეალური ალტერნატივა. ალტერნატივა, რომელსაც აქვს ყველა თეორიული რესურსი (ფინანსები, ავტორიტეტი, კავშირები) იმისთვის, რომ სულ მცირე – ძალიან სერიოზულად შეარყიოს გაბატონებული რეჟიმის პოზიციები.

მაშასადამე **პირველი** (და უდავოდ დადებითი) რაც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამ **უკვე მოიტანა,** ეს არის იმედი. იმედი, რომ არსებული სისტემის შეცვლაზე **ფიქრი** შესაძლებელია.

**მეორე** (და ასევე დადებითი) მომენტი არის ის, რომ ხალხმა არა მხოლოდ ფიქრი, არამედ უკვე კონკრეტული **მოქმედებაც** გაბედა საკუთარი ქვეყნის ბედზე ზეგავლენის მოსახდენად (არადა აქამდე მოსახლეობის ძალიან სერიოზულ ნაწილს საერთოდ „ხელი ქონდა ჩაქნეული“ პოლიტიკაზე, ანუ საკუთარი ქვეყნის ბედზე).

**მესამე** (და შეიძლება ითქვას, არანაკლებ მნიშვნელოვანი) დადებითი მომენტი არის ის, რომ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ფაქტობრივად უკვე აქცია არარაობად მმართველი რეჟიმის მიერ „დემოკრატიის ილუზიის“ მიზნით შექმნილი და წახალისებული რამდენიმე „პოლიტიკური“ პარტია. იმის მიუხედავად, შეძლებს თუ არა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლას, ამ „პარტიების“ პოლიტიკური ისტორია, შეიძლება ითქვას, უკვე დასრულებულია.

მაგრამ, ალბათ, **ყველაზე მნიშვნელოვანი,** რაც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართვამ მოიტანა, ეს არის შესაძლებლობა, თავიდან ბოლომდე გადავიაზროთ განვლილი 20 წლის განმავლობაში შემუშავებული (უმეტესად კი თავსმოხვეული) პოლიტიკური ორიენტირები და ზოგადად მივაგნოთ იმ „ოქროს შუალედს“, რომლის პოვნაც ქართველებს, როგორც წესი, ყველაზე მეტად გვიჭირს.

ალბათ არც აქ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, რომ ჩემი აზრით, ივანიშვილს გაცილებით მეტი შესაძლებლობები ექნება მოაგვაროს საქართველოს ტერიტორიული პრობლემები, ვიდრე არსებულ რეჟიმს.

თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, ეს ყველაფერი ჯერჯერობით არის მხოლოდ **შესაძლებლობა!**

მაგრამ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ საქართველოში შექმნა არა მარტო შესაძლებლობები, არამედ გარკვეული საშიშროებებიც.

თუ ჩვენს მიერ უკვე ნახსენები დადებითი მომენტები ძირითადად კონკრეტული პოლიტიკის სფეროს განეკუთვნებოდა, უფრო ზოგადი და გრძელვადიანი პერსპექტივით, დღეს გამოკვეთილია რამდენიმე საშიშროება პოლიტიკური კულტურისა და იდეოლოგიის კონტექსტში.

რაში მდგომარეობს ეს საშიშროებები?

პირველ რიგში ვილაპარაკოთ პოლიტიკურ კულტურაზე.

საქართველოში ბოლო 20-25 წელია ვაკვირდებით იმას, რომ **მოსახლეობის უმეტესობა პრობლემების მოგვარების ყველაზე რეალურ გზად გამორჩეული ლიდერის, ქარიზმული პიროვნების ირგვლივ გაერთიანებას მიიჩნევს.** ამასთანავე, არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვიფიქროთ, თითქოს საბჭოთა ეპოქაში ან მანამდე რამე განსხვავებული პოლიტიკური კულტურა გვქონდა. გმირის ძიება საკვანძო ელემენტად გასდევს მთელს ქართულ ისტორიას და ეს ფენომენი შეგვიძლია დავინახოთ არა მხოლოდ ისტორიოგრაფიაში, არამედ ფოლკლორსა და ხელოვნებაშიც კი.

ბოლო პერიოდში, პოლიტიკური პარტიებისა და ზოგადად, „პროფესიონალი პოლიტიკოსების“ მასობრივი დისკრედიტაციის ფონზე, **საზოგადოებაში ნელ-ნელა დაიწყო გააქტიურება თვითორგანიზაციისა და სოლიდარობის იდეებმა.** ძალიან ნელი ნაბიჯებით, მაგრამ ქართულმა საზოგადოებამ (პირველ რიგში კი მისმა ავანგარდმა, ანუ ახალგაზრდობამ) როგორც იქნა დაიწყო მოძრაობა სწორი მიმართულებით. **„სერიოზული“ ასაკის ადამიანების მასობრივი აპათიის ფონზე სტუდენტური აქტიურობა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო და ამას ადრე თუ გვიან უნდა მოყოლოდა ახალი იდეებისა და რაც მთავარია, ახალი პოლიტიკური კულტურის დამკვიდრება მთლიანად საზოგადოებაში.**

დღეს ეს პროცესი და საერთოდ ახალგაზრდობა უკვე ნაკლებად შესამჩნევია ივანიშვილის ფაქტორის ფონზე. ეს, რა თქმა, უნდა თავისთავად რამე განსაკუთრებულ ტრაგედიას არ წარმოადგენს, მაგრამ **გააქტიურებული „სერიოზული ასაკი“ ივანიშვილს ხშირად ზუსტად ისე უყურებს, როგორც მორიგ „მხსნელს“, რომელსაც ქვეყანას „ჩააბარებს“, მერე თვითონ „სახლში წავა“, პოლიტიკას დაივიწყებს და რამდენიმე წელიწადში სავარაუდოდ...ისევ ახალ მხსნელს დაუწყებს ლოდინს.**

რა თქმა უნდა, ამ ყველაფერში თვითონ ივანიშვილი ალბათ ყველაზე ნაკლებადაა დამნაშავე, მაგრამ მის „დადანაშაულებას“ არც ვისახავთ მიზნად – უბრალოდ ფაქტებს აღვნიშნავთ.

ფაქტი კი ისაა, რომ **გაჩნდა საშიშროება, ქართული პოლიტიკური კულტურა კიდევ დიდი ხნით დარჩეს მხსნელისა და გმირის ძიების რეჟიმში.**

მეორე საშიშროება, რაც დღეს ასევე შესამჩნევია, ეკონომიკისა და სოციალური მოწყობის ფორმას, უფრო სწორად კი ამ საკითხებისადმი ადამიანების დამოკიდებულებას უკავშირდება.

მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის შეუზღუდავი კაპიტალიზმისთვის „მეორე სიცოცხლის“ მიცემის საშიშროება.

განვლილი 20 წლის მანძილზე ქართულმა საზოგადოებამ (პირველ რიგში კი ისევ და ისევ ახალგაზრდობამ) უკვე გადაიაზრა ის ეიფორია კაპიტალიზმის „ყოვლადუცოდველობის“ შესახებ, რომელიც 80-იანი წლების ბოლოს „სუფევდა“ საბჭოთა კავშირში. **ბოლო დროს ახალგაზრდული პროტესტების უმრავლესობა სწორედ ანტიკაპიტალისტურ ხასიათს ატარებდა, ხოლო ახალგაზრდობა, მოგეხსენებათ, ადრე თუ გვიან აუცილებლად აიყოლიებს მთელს საზოგადოებას.**

ამ ფონზე ისეთი ლიდერის გამოჩენა, რომელიც თავისი სოციალური სტატუსისა და მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, საზოგადოების მიერ აპრიორი ვერ იქნება კაპიტალიზმის შეზღუდვასთან ასოცირებული, ქმნის ისეთ სიტუაციას, როცა ადამიანებს შეიძლება კვლავ დაუბრუნდეთ „ჭეშმარიტი კაპიტალიზმის“ რწმენა, ხოლო განვლილი პერიოდის პრობლემები მთლიანად ერთ ადამიანს (ან პარტიას) დააბრალონ.

რამდენად შეძლებს ამ საშიშროებების გათვალისწინებას ბიძინა ივანიშვილი, რას მოიმოქმედებს მათ გასანეიტრალებლად ან საერთოდ რამდენად ჩათვლის მათ სერიოზულ საფრთხედ, დღეს ძნელი სათქმელია.

არ გამოვრიცხავ, ყველაფერი უკეთესი სცენარით წარიმართოს და ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში საქართველო მართლაც უფრო მიუახლოვდეს დემოკრატიას. დემოკრატიაში აქ ვგულისხმობ სისტემას, სადაც ადამიანები ყოველდღიურად მონაწილეობენ პოლიტიკაში და არ ელოდებიან რაღაც განსაკუთრებული თვისებებით დაჯილდოებულ გმირებს, რომლებიც მთელი ქვეყნის გასაკეთებელ საქმეს მარტო აკეთებენ.

უფრო მეტიც – შესაძლოა ივანიშვილმა სოციალური სახელმწიფო ვერააშენოს, მაგრამ დღევანდელი რეჟიმისგან განსხვავებით, მაინც უფრო დიდი აქცენტი გააკეთოს კონკრეტულ სოციალურ პროგრამებზე. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს ვფიქრობ, იძლევა ივანიშვილის, როგორც ქველმოქმედის, ბიოგრაფია.

ეს რა თქმა უნდა ჯერ კიდევ არ იქნება სოციალური სახელმწიფო, მაგრამ თუ ასეთი რამ მოხდა, ეს დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებით მაინც პროგრესად უნდა ჩავთვალოთ.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჯერჯერობით ეს ყველაფერი არის მხოლოდ ვარაუდი და შესაძლებლობა.

მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში და თვით იმის მიუხედავადაც კი, თუ როგორ დამთავრდება ერთი თვის წინ დაწყებული „პოლიტიკური დუელი“ საქართველოში, ერთი რამ უკვე ცხადია – ივანიშვილის ფაქტორი უდავოდ დიდ გავლენას მოახდენს ქართული პოლიტიკისა და ზოგადად საზოგადოების მომავალ განვითარებაზე.

**ზვიად ავალიანი**



ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან

### ბიძინა ივანიშვილთან შესახვედრად თბილისში ევროპის ქვეყნების პრეზიდენტები ჩამოდიან?

დასავლეთმა კარგად იცის, რომ ივანიშვილი იმ ტიპის ფიგურაა, რომელიც ანგარიშს გაუწევს დასავლეთის ინტერესებს და ქვეყანაში სტაბილურობის აღდგენას მოახერხებს.

**„ქართული სიტყვა“**

### „არ მეგონა, რომ მილიარდელი გავხდებოდი“

ბიძინა ივანიშვილის პირველი ინტერვიუ, რომელც 2005 წელს გაზეთ „ვედომოსტში“ დაიბეჭდა. ინტერვიუს სრული ტექსტი ქართულ ენაზე ქვეყნდება პირველად.

**„საერთო გაზეთი“.**

### გააწვალებენ თუ არა რუსები ბიძინა ივანიშვილს

ბიძინა ივანიშვილი დღეებს ითვლის, თუ როდის დაკმაყოფილდება მისი განცხადება რუსეთის მოქალაქეობაზე უარის თქმის შესახებ. თუმცა, ირკვევა, რომ შესაძლოა ეს არც ისე მალე მოხდეს.

**„ახალი თაობა“.**

### ხორცის გაიაფება ცოტა ხანს კვლავ გაგრძელდება

ადგილობრივ ბაზარზე ხორცი გაიაფდა. ცვლილებები თითქმის ყველა დასახელების ხორცეულით აისახება. ხორცის გადამამუშავებელ კომპანიაში აცხადებენ, რომ კლების ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება.

**„რეზონანსი “.**

### სად იყო ალანა გაგლოევა, როცა რუსთაველის პროსპექტზე ავარიამ ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა?..

ამ შემზარავ ფაქტზე თავის დროზე მთელი თბილისი ლაპარაკობდა. პრესაშიც დაიწერა, რომ ამ დანაშაულში პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვის წევრები იყვნენ გარეულნი, მაგრამ ყოვლისშემძლე ხელისუფლებამ ორი ადამიანის მკვლელობა ჩაფარცხა.

**„საქართველო და მსოფლიო“**

ინფორმაცია

### „დარდუბალას“ ივანიშვილის დაფინანსებით ხორგუანის კომპანია „7 Z“ გადაიღებს

**ჟურნალისტ შალვა რამიშვილის პროექტ „დარდუბალას“ კომპანია „7 Z“ გადაიღებს და იგი ტელესივრცეში ერთ თვეში გამოჩნდება. როგორც „პირველს“ კომპანიის თანადამფუძნებელმა შალვა რამიშვილმა განუცხადა, პროექტზე მუშაობა ორი კვირაა დაიწყო და იგი ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში ერთ თვეში გავა.**

**აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კომპანიის დამფუძნებელი „ქართული პარტიის“ პოლიტსაბჭოს წევრი სოფიო ხორგუანია.**

**შეგახსენებთ, რომ „დარდუბალას“ აღდგენა შალვა რამიშვილს ოპოზიციონერმა მაგნატმა ბიძინა ივანიშვილმა შესთავაზა და მისი დაფინანსებაც აღუთქვა.**

„პირველი“

# მეცნიერების საერთაშორისო დღე და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

**(პირველი გვერდიდან)**

მნიშვნელოვანი ამოცანაა ამჟამად უნივერსიტეტებს შეერთებულმა ყოფილმა აკადემიურმა კვლევითმა ინსტიტუტებმა შეძლებისდაგვარად შეინარჩუნონ ის მაღალი მეცნიერული პოტენციალი, რაც მათ აკადემიის სისტემაში ყოფნისას ახასიათებდა; ეს მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებასა და მის შემდგომ განვითარებას; მეცნიერებათა აკადემია ამჟამად ყველა მის ხელთ არსებულ ღონეს ხმარობს ამ მიმართულებით...

მეცნიერებათა აკადემიიდან გაყვანილი კვლევითი ინსტიტუტების ნაცვლად აკადემიის სისტემაში ავტონომიური ერთეულების სტატუსით შემოვიდა ორი მნიშვნელოვანი სამეცნიერო სტრუქტურა – ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია და აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის გამოცემის კომისია და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი (შემოკლებით: რუსთაველის კომიტეტი), რომლებიც მეტად მნიშვნელოვან სამეცნიერო-საგამომცემლო საქმიანობას ეწევიან. ქართული ენციკლოპედიის ხაზით ბოლო წლებში გამოქვეყნდა ისეთი მნიშვნელოვანი პუბლიკაციები, როგორიცაა „ქართული ენა“, „ქართული დამწერლობა“, „თბილისი: ქუჩები, გამზირები, მოედნები... ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მრავალტომიან ენციკლოპედიაზე „საქართველო“, რომელიც რამდენიმე წელში დასრულდება;

რუსთაველის კომიტეტი აგრძელებს მუშაობას „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დადგენაზე დაწვრილებითი კომენტარებითა და ლექსიკონით...

„ქართული ენის თესაურუსში“, რომლის ელექტრონული ვერსია ინტენსიურად მუშავდება, წარმოდგენილი იქნება ყველა შესაძლებელი სიტყვა-ფორმის სახით ქართული ენის დოკუმენტურად ფიქსირებული პერიოდის (V საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნის ჩათვლით) ქრონოლოგიურად დალაგებული მთელი ლექსიკა ტექსტობრივი საილუსტრაციო მასალით; ამგვარ „ლექსიკონში“ აისახება ქართული ენის უმდიდრესი მრავალსაუკუნოვანი სიტყვიერი მარაგი; ეს იქნება „ქართული ენის ლექსიკური საუნჯე“, ანალოგიური საქვეყნოდ ცნობილი ბერძნული, ლათინური, ინგლისური, ფრანგული, გერმანული და ზოგი სხვა ენის „თესაურუსებისა“; აქვე იწყება სამუშაოები ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის შესადგენად...

ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში არსებული ათი სამეცნიერო განყოფილება ფარავს არსებითად თანამედროვე ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებათა ყველა დარგს. ამასთანავე, აკადემიაში შეიქმნა მთელი რიგი კომისიები და კომიტეტები, რომელთა ხელმძღვანელები აკადემიის წევრები არიან; ასეთია „ქართული ენისა და ლიტერატურის კომისია“, „საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი“, „საქართველოს მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისია“, „საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია“, „ისტორიისა და ეთნოლოგიის კომისია“, „კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისია“, „ნანოტექნოლოგიების პრობლემების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი“ და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენს აკადემიაში „ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი კომისიის“ ჩამოყალიბება, რომელსაც სათავეში უდგას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი.

ჩვენი აკადემიის „აკადემიური საბჭოს“ გაფართოებულ საჯარო სხდომებზე, წმინდა სამეცნიერო პრობლემებთან ერთად, განიხილება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისა და მისი შემდგომი განვითარების პრობლემატიკა, როგორიცაა „შავი ზღვის აუზის ქვეყნების ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა“, „მიწისძვრები და სეისმური რისკი“, „წყალდიდობები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საინჟინრო ეკოლოგიური ღონისძიებები“, „საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფცია“, „საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების კონცეფცია“, „დემოგრაფიული ვითარება საქართველოში და მისი ნორმალიზების ღონისძიებათა სისტემა, „შენობა-ნაგებობების თბოუნარიანობის უზრუნველყოფა, „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა“, „იაპონიის 2011 წლის 11 მარტის დამანგრეველი მიწისძვრა და საქართველოს ტერიტორიის სეისმური უსაფრთხოების პრობლემა“, „საქართველოში ყურძნის ზეთის წარმოების შესაძლებლობა“, „უჯრედული მედიცინა, დღევანდელი მიღწევები და განვითარების პერსპექტივები“, „აივ ინფექცია/შიდსი მსოფლიოში და საქართველოში: მიღწევებისა და პერსპექტივების შესახებ“. აღნიშნული სამეცნიერო მოხსენებათა დასკვნები და „აკადემიური საბჭოს“ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ეგზავნება სათანადო სამთავრობო სტრუქტურებს...



2010/11 წლებში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მონაწილეობით სათანადო მიმართულების სამეცნიერო ინსტიტუტებთან და სამეცნიერო კავშირებთან ერთობლივად ჩატარდა არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობდნენ გამოჩენილი უცხოელი მეცნიერებიც.

აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტის აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილისადმი მიძღვნილი მათემატიკური კონფერენცია (საქართველოს მათემატიკოსთა კავშირთან ერთობლივად ჩატარებული), რომელიც დაკავშირებული იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის საიუბილეო თარიღებთან და რომელშიც მონაწილეობა მიიღო მრავალმა გამოჩენილმა მათემატიკოსმა უცხოეთიდან; ანალოგიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა „კავკასიის გეოლოგიის პრობლემებზე; აგრეთვე საერთაშორისო კონფერენცია: „თანამედროვეობის ძირითადი ეკოლოგიური პრობლემები და კავკასია, კონფერენცია ორგანულ ქიმიაში: „ჰეტეროციკლური ძიების მიღწევები“ და სხვ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია არის მთელი რიგი საერთაშორისო აკადემიური გაერთიანებების კოლექტიური წევრი, მათ შორის წევრი სრულიად ევროპის აკადემიათა ასოციაციის, აზიისა და აფრიკის აკადემიათა ასოციაციის და სხვ. ჩვენი აკადემიის მრავალი წევრი არის იმავდროულად ყველაზე პრესტიჟული დასავლური – ევროპისა და ამერიკის – აკადემიებისა და უნივერსიტეტების საპატიო უცხოელი წევრები და საპატიო დოქტორები, ისე როგორც მრავალი გამოჩენილი უცხოელი მეცნიერი არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, რასაც ისინი დიდ პატივად მიიჩნევენ. ამასთანავე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული არაერთ დასავლურ აკადემიასთან თანამშრომლობისა და მეცნიერ-მუშაკთა გაცვლის თაობაზე. ამგვარი თანამშრომლობის მემორანდუმი ხელმოწერილია ისეთ აკადემიურ დაწესებულებებთან, როგორიცაა: ბრიტანეთის სამეფო საზოგადოება, ისრაელის მეცნიერებათა და ჰუმანიტარული აკადემია, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემია, რუმინეთის აკადემია, ბრიტანეთის აკადემია, ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემია, თურქეთის მეცნიერებათა აკადემია, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია, მონტენეგროს მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემია, ავსტრიის მეცნიერებათა აკადემია...

შედეგებს ჩვენს აკადემიაში ჩატარებული სტრუქტურული ცვლილებებისას, რასაც თავის დროზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მძაფრად ეწინააღმდეგებოდა, უკეთ, ალბათ, მომავალი გვიჩვენებს; ამჟამად კი შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მეცნიერებათა აკადემია ეცდება ფუნდამენტური ხასიათის ინსტიტუტების თავის წიაღში დაბრუნებას... მიუხედავად შექმნილი უმწვავესი ვითარებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია კვლავაც შეეცდება მაღლა ატაროს ქართული მეცნიერების – ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებათა – დროშა, მეცნიერებისა, რომელიც ყოველთვის იდგა მსოფლიო მეცნიერების დონეზე და მრავალ სამეცნიერო დარგში თვით განსაზღვრავდა ამ დონეს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, 2011 წელს წარმოდგენილი ნაშრომებისთვის გამოჩენილ მეცნიერთა აკადემიური სახელობითი პრემიები მიენიჭათ:**

**1. ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის პრემია** ავტორებს: აკადემიის წევრ-კორესპონდენტს **რევაზ ბანცურს** და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს **ნუგზარ შავლაყაძეს** ნაშრომთა ციკლისათვის – **„დრეკადობის თეორიის შერეული და საკონტაქტო ამოცანები“**.

**2. სერგი დურმიშიძის სახელობის პრემია** აკადემიკოს **თენგიზ ბერიძეს** ნაშრომთა ციკლისათვის – **„გენომის ორგანიზაციის საკითხები“**.

**3. ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემია** ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს **თეიმურაზ ნათიშვილს** მონოგრაფიისათვის – **„კოგნიტური ვიზუალური მეხსიერება კატებში“** (მონოგრაფიის ავტორები: აკადემიკოსი **ვაჟა ოკუჯავა** და **თეიმურაზ ნათიშვილი**).

**4. ლეონარდე დეკაპრელევიჩის სახელობის პრემია** აკადემიის წევრ-კორესპონდენტს **პეტრე ნასყიდაშვილს** ნაშრომთა ციკლისათვის – **„სასოფლო-სამეურნეო კულტურების გენეტიკა, სელექცია და მეთესლეობა“**.

**5. იოანე პეტრიწის სახელობის პრემია** ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს **ლელა ალექსიძეს** ნაშრომებისათვის – **„იოანე პეტრიწი და ანტიკური ფილოსოფია“, „ნეოპლატონური ფილოსოფია. პლოტინი და იამბლიქოსი“**.

**6. გიორგი ჩიტაიას სახელობის პრემია** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს **თინა ოჩიაურს** (გარდაცვალების შემდეგ); ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს **ჯულიეტა რუხაძეს,** აკადემიკოს **ზურაბ წერეთელს,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს **თამილა ცაგარეიშვილს** სერიაში – „ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურა“ გაერთიანებულ ნაშრომთა ციკლისათვის – **„ქადაგობა ხევსურეთში“, „ეთნოგრაფიული ჩანაწერები“, „პურის კულტი ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში“, „საქართველო, ტრადიცია, რწმენა, ხელოვნება“**.

**7. თინათინ წერეთლის სახელობის პრემია** აკადემიის წევრ-კორესპონდენტს **ჯონი ხეცურიანს** ნაშრომთა ციკლისათვის – **„საკონსტიტუციო და საერთაშორისო სამართლის აქტუალური პრობლემები“**.

**8. ნიკოლოზ ბერძენიშვილის სახელობის პრემია** ავტორთა კოლექტივს: აკადემიკოს **დავით მუსხელიშვილს,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებს: **დევი ბერძენიშვილს** (გარდაცვალების შემდეგ); **მარინა კანდელაკს, მზია სურგულაძეს,** ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს **გიორგი ჭეიშვილს** ნაშრომისათვის – **„საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში“**.

**9. გიორგი ნიორაძის სახელობის პრემია** აკადემიკოს **ოთარ ჯაფარიძეს** ნაშრომისათვის – **„შიდა ქართლის უძველესი წარსულიდან“**.

**10. აკაკი შანიძის სახელობის პრემია** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს **იზაბელა ქობალავას** და აკადემიის წევრ-კორესპონდენტს **გუჩა კვარაცხელიას** ნაშრომისათვის – **„ქართული ენა“ – ენციკლოპედია**.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი
**თამაზ გამყრელიძე**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი
**ოთარ ნათიშვილი**

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესაბამისად გამარჯვებულად გამოვლინდნენ 2010 წლის საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები:**

1. ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი;
2. ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი;
3. გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი;
4. პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი;
5. სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი;
6. ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი;
7. სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი;
8. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი;
9. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი;
10. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი
**თამაზ გამყრელიძე**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი
**ოთარ ნათიშვილი**

ვარაუდი

# ბარიკადის ორივე მხარეს

ბორის ბარაბანოვი

## თბილისში რატომღაც სამსახურიდან გაუშვეს რობერტ სტურუა და სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგეს ვახტანგ კიკაბიძეს

**საქართველოში წასვლა ყოველთვის მინდა. ჩემი ფიქრით, ამ ქვეყანაში გული რუსეთის ნებისმიერ მოქალაქეს ეწევა. ერთს იქ ნათესავები ეგულება, მეორეს — მეგობრები, მესამეს საბჭოთა ეპოქის დროინდელი ქართული ქეიფი ენატრება, სხვებს ყურები გამოუჭედეს მოუსყიდველი პოლიციელებითა და დემოკრატიული გარდაქმნებით — განახლებული თბილისის ცხოვრებაზე ხომ მხოლოდ ზეაღმატებული ტონალობით ლაპარაკი ისმის. საბაბიც გამიჩნდა.**

ფილმის გმირების, რუბენ ხაჩიკიანის (ფრუნზიკ მკრტიჩიანიძ, ვალიკო მიზანდარის (ვახტანგ კიკაბიძძ, ივან ვოლოხოვის (ევგენი ლეონოვიძ და რეჟისორ გიორგი დანელიას ძეგლი სკულპტორმა ზურაბ წერეთელმა რამდენიმე წლის წინათ შექმნა. თავიდან მისი დადგმა მოსკოვში, წმინდა ტბორებზე იგეგმებოდა, მაგრამ შემდეგ პროექტი შეფერხდა. ვახტანგ კიკაბიძის აზრით — რუსეთის ხელისუფლების მითითებით.

როცა გაირკვა, რომ ძეგლს მოსკოველობა არ ეწერა, მისი თბილისში დადგმა გადაწყვიტეს, მაგრამ ახლა ტრანსპორტირების პრობლემებმა იჩინა თავი. სომხეთის გავლით წაღებაც ვერ მოხერხდა. თვით ყოვლისშემძლე ზურაბ წერეთელსაც კი რამდენიმე წელი დასჭირდა, რომ მისი „კვარტეტი“ ძველი თბილისის ერთ-ერთ მოედანზე გამოჩენილიყო იმ უბანში, სადაც ათადან-ბაბადან სომხები და ქართველები გვერდიგვერდ ცხოვრობენ.

მოსკოველი ცოცხალი სტუმრისთვის თბილისში მოხვედრა ქვისაზე ბევრად რთული საქმეა. თავიდან იმ ფაქტმა გამაკვირვა, რომ თურმე მოსკოვი-თბილისის პირდაპირი ავიარეისი არსებობს და ამ ქვეყანაში რაღაც ბნელი ბილიკებით შეღწევა სულაც არ არის აუცილებელი. კიდევ უფრო იმან გამაკვირვა, რომ თურმე ვიზის უშუალოდ აეროპორტში გაფორმება ყოფილა შესაძლებელი და საკმაოდ სწრაფადაც. მთავარია, იცოდე იმ სასტუმროს სახელი, სადაც ნომერი გაქვს დაბევებული... ბოლოს და ბოლოს, რომელიმე თბილისური სასტუმროსი მაინც. რუსისთვის აქ ჩასვლა სულაც არ არის ეგვიპტეში ჩასვლაზე ძნელი. უკუმიმართულებით მოძრაობა არ არსებობს. ექსტრემალური შემთხვევების გარდა, საქართველოს მოქალაქეებზე რუსულ ვიზებს არ გასცემენ. თუმცა ეს ვითარება ხელს არ უშლის ტრადიციულ ქართულ სტუმართმოყვარეობას, პირიქით — ხელს უწყობს კიდეც. ადგილობრივები თავს მოვალედ თვლიან ყოველი საშუალებით დაგარწმუნონ, რა დიდი უსამართლობაა მათ მიმართ გატარებული სანქციები.

ნებისმიერი ტაქსისტი, უპირველეს ყოვლისა იმას შეგეკითხებათ, ხომ კარგად მიგიღეს, სასტუმროსთან დაკავშირებით ხომ ყველაფერი წესრიგშია, რამეს ხომ არ უჩივითო. მას შემდეგ, რაც შეიტყობს, რომ მოსკოველი ხართ, გეტყვით, რომ რუსეთმა და საქართველომ აუცილებლად სიამტკბოლობით უნდა იცხოვრონ და უკვე დროა, პოლიტიკოსებმა ერთმანეთში საერთო ენა გამონახონ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალაქში უამრავი ტაქსია და მომსახურების ტარიფიც საკმაოდ დაბალი, დღის ბოლოს ეს მონოლოგი ზეპირად გეცოდინებათ. მოგზაურობის დასასრულს ტაქსისტი აუცილებლად ჩაგაწერინებთ თავისი ტელეფონის ნომერს. როცა ისე,სასხვათაშორისოდ ჩემი ზესტაფონელი ნათესავები ვახსენე, ტაქსისტი რაციით დისპეტჩერს დაუკავშირდა და თხოვა რუსულად დაესახელებინა ზესტაფონამდე მგზავრობის ღირებულება. ეტყობა, ადგილობრივებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია დაანახონ რუსეთიდან ჩამოსულებს, რომ მათ მიმართ საქართველოში უპატივცემლობის ნატამალიც კი არ არსებობს, თაღლითობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ქალაქში ახალთახალი „მერსედესებითაც“ ტაქსაობენ და სხვა მარკის ძველი, მრავლისმნახველი ავტომობილებითაც. მათი რაოდენობა აშკარად მიუთითებს, რომ თვით დედაქალაქსა და, საერთოდ, მთელს ქვეყანაში საკმაოდ დუხჭირი ცხოვრებაა. სამუშაო ტაქსისტებისთვის მხოლოდ ქალაქებშია, სადაც მამაკაცებს სამსახურის ერთობ შეზღუდული არჩევანი აქვთ. დიახ, თბილისის აეროპორტში მართლაც ნახავთ Segway-ის ელექტრო თვითმავლებზე ამხედრებულ პოლიციელებს, ხოლო ქალაქისკენ მიმავალს აუცილებლად დაგანახებენ პოლიციის მინებში ჩასმულ სახელგანთქმულ შენობას — კორუფციაზე გამარჯვების სიმბოლოს. ცენტრალური მაგისტრალები შეუკეთებიათ, ყოვლად მოულოდნელ ადგილებზე თავშესაქცევი ჟანრობრივი სკულპტურები დაუდგამთ, ძველი თბილისის რაიონში მტკვარზე იტალიელი არქიტექტორის, მიშელ დე ლუჩის შუშის ხიდიც გაუდიათ, რუსთაველის პროსპექტიც სავსეა ცნობილი საერთაშორისო ბრენდების მაღაზიებით. თუმცა, საბოლოოდ, ქალაქი ფუფუნებისა კი არა, დამთავრებული სამუშაოების შთაბეჭდილებასაც ვერახდენს. რუსთაველიდან ნაბიჯს გადგამ თუ არა, მაშინვე ან მშენებლობაზე მოხვდებით, ან — ნანგრევებში. დიადი თბილისი ცოტათი რუსეთის საგუბერნიო ცენტრს წააგავს, აქა-იქ მყუდრო კუთხეებში შეყუჟული კოლორიტული პერსონაჟებით დეკორაციების ფონზე, რომელთა მიღმა ვიღაცის უმტკიცესი ნება ილანდება.

თბილისელები შუშის ხიდს Always Ultra-ს („სააკაშვილის პამპერსი“, **რედ.**) ეძახიან. იგი მართლაც წააგავს რაღაც შუასადებს ორ ნაპირს, უფრო ფართო გაგებით — წარსულსა და მომავალს შორის. საქართველო დღეს თითქოს ამ ხიდზე ცხოვრობს.

— ამ გლამურული ფასადების იქით არაფერი დგას, — მარწმუნებს ერთ დროს საქართველოს მთავრობის მეთაური და ელჩი რუსეთში ვაჟა ლორთქიფანიძე, საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების ერთ-ერთი კრიტიკოსი. ერთმა ცნობილმა ქართველმა ასეთი რამეც მითხრა: „არა მგონია, რუსებს მობილურ ტელეფონებზე საუბრისა გეშინოდეთ. ჩვენთან კი, კაცი რომ შეგხვდება, სანამ რამეს იტყოდეს, მობილური ტელეფონიდან ბატარეას ამოიღებს. მოსმენის შესაძლებლობა ასე უფრო ნაკლებია.“

საქართველოში ნებისმიერ თემაზე წამოწყებული საუბარი რამდენიმე წამში პოლიტიკაზე გადადის. მაშინაც კი, როცა რუსთაველის თეატრზე ლაპარაკობენ — ამას წინათ იქ სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა გააუქმეს და ამით რეჟისორ რობერტ სტურუას უფლებამოსილება გაუუქმეს. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი შიდა სამზარეულოა, მაგრამ საქართველოში ასეთი ისტორიები მყისიერად იქცევა-ხოლმე პოლიტიკური პროცესების ნაწილად. იმის მიუხედავად, რომ თეატრალური სეზონი რუსთაველის თეატრში სწორედ ბატონი სტურუას სპექტაკლით გაიხსნა და მასვე სხვა სპექტაკლების დადგმა და ქართული სინამდვილისთვის საკმაოდ მაღალი ჰონორარები შესთავაზეს, დიდოსტატის რიგით რეჟისორად ჩამოქვეითება ლამის პოლიტიკურ პრობლემად იქცა. „ხელისუფლებაში ჩემი თეატრიდან გაგდება გადაწყვიტეს,“ — თქვა „ოგონიოკთან“ ამასწინანდელ ინტერვიუში (იხ. №33, 2011 წ.) ბატონმა სტურუამ. ვაჟა ლორთქიფანიძეს მიაჩნია, რომ სახელმწიფოსთან რეჟისორის ურთიერთობები მისი გულახდილი გამოთქმების გამო დაიძაბა. კერძოდ, თქვა, რომ თბილისში „დიდი შიშიანობაა“, სააკაშვილს კი ურჩია, რომ მას საქართველოში არაფერი ესაქმება, რადგან ის არ არის ქართველი.

ოპოზიციას სააკაშვილის წარმომავლობა მოსვენებას არ აძლევს. ყველა რელიგიური კონფესიის გათანაბრებამ ვითარება უკიდურესად დაძაბა და სერიოზული საფუძველი შეუქმნა სომხეთისთვის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ექვსი ტაძრის დაბრუნების მოთხოვნას. უმწვავესი ოპოზიციური გამონათქვამების ავტორი, პოეტი რეზო ამაშუკელი სააკაშვილს ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე „სომხურ პროექტს“ უწოდებს. ამავდროულად იმასაც ამბობს, პირადად სომხებთან სადავო არაფერი მაქვსო და ამის დასტურად იშველიებს პარიზში გამოცემულ მისივე პოეტურ კრებულს, რომელიც სომხეთისადმი მიძღვნილი პოემით იხსნება.

გიგა ლორთქიფანიძე, ქართული კინოს ვეტერანი და საბჭოთა პერიოდის უპოპულარესი ტელესერიალის, „დათა თუთაშხიას“ ავტორი ფიქრობს, რომ ეკლესია ერთადერთია, რაც ხალხს შერჩა და ახლა ამის წართმევა უნდათ.

კავკასიაში მცხოვრები ამ ორი ხალხის ეს მარადიული ტკბილ-მწარე ურთიერთობა დაედო საფუძვლად „მიმინოს“ და იგი მართლაც დიდებულ ფილმად აქცია. 2008 წლის აგვისტოს ომისგან მიყენებული ჭრილობების მიუხედავად, სწორედ სომხეთ-საქართველოს შორის არსებული რელიგიური უთანხმოება იქცა აქაური პოლიტიკური და კულტურული სიუჟეტების უმთავრეს თემად. და კიდევ: თვით „მიმინოშიც“, ვერ ვიტყვი, ყველაზე თვალსაჩინო-მეთქი, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი მოტივი ასეთია: კავკასიელთა მეგობრობა და ურთიერთდახმარება საპირწონედ რუსების ცინიზმისა, იმ რუსებისა, თვითონ რომ არ შეუძლიათ რაიმეს უმღერონ და ამქვეყნად არაფერი წმინდა არ გააჩნიათ.

ამჟამინდელ ქართულ საზოგადოებრივ აკუპუნქტურაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა გამოჩნდა. ეს გახლავთ მილიარდერი და მეცენატი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც უზარმაზარ სახსრებს ხარჯავს კულტურის მოღვაწეთა მხარდასაჭერად. გიგა ლორთქიფანიძე მასზე, როგორც მითოლოგიურ პერსონაჟზე, ისე ლაპარაკობს: „მან ჩემი მეუღლის მკურნალობის ფული გადაიხადა, თუმცა, არასოდეს მინახავს, მხოლოდ ტელევიზორში თუ მომიკრავს თვალი.“ ბატონი ივანიშვილი დაეხმარა ასობით ხელოვანს, ააშენა ეკლესიები, აღადგინა რუსთაველის თეატრი, ამქვეყნიურ სამოთხედ აქცია თანასოფლელების ცხოვრება და ბოლოს „ქვემოდან“ წამოსული პოპულარობის ტალღაზე საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა. ხელისუფლებამ მის ქმედებებში „მოსკოვის ხელი“ დაინახა და მის წინააღმდეგ პრესაში სახელის გამტეხი კამპანია წამოიწყო. ცოტა ხნის წინათ საქართველოს მოქალაქეობაც კი ჩამოართვა.

პოლიტიკისა და ხელოვნების სიახლოვის თვალსაზრისით, გიგა ლორთქიფანიძისა და ვახტანგ კიკაბიძის შემთხვევები აბსოლუტურად ურთიერთგამომრიცხავია. მომღერალი მთელი ძალ-ღონით ცდილობს სააკაშვილისადმი თავისი სიმპათიების წარმოჩენას. ბარიკადის მეორე მხარეს დარჩენილი თანატოლები მას „გაყიდულს“ უწოდებენ და იხსენებენ, რა გააფთრებით დაიწყო რუსეთის კრიტიკა, თუმცა რაღაც სამიოდე წლის წინათ იქ ყველაფერი მოსწონდა. რეჟიმის ოპონენტები ამბობენ, რომ სააკაშვილი კიკაბიძეს „მუდამ თან დაათრევს“. იმასაც აღნიშნავენ, რომ ახლა „ბუბა კიკაბიძე საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე არაპოპულარული ადამიანია“.

„მიმინოს“ გმირების ძეგლის გახსნის დღეს ბუბას თბილისის ფილარმონიაში კონცერტი ჰქონდა. საუნდრეკზე მივედი. მომღერალი კონცერტის პროგრამას კიდევ ერთხელ იხსენებდა. დარბაზში დამლაგებლები ფუსფუსებდნენ. ერთ მომენტში მუშაობა შეწყვიტეს და მსახიობს მოჯადოებულებივით შეაცქერდნენ. „მის ყველა გამოსვლას ვუსმენთ — სულს ელამუნება“, — ჩაიჩურჩულა ერთმა. მართალია, ფილარმონიის დამლაგებლის აზრი საყოველთაო პოპულარობის დასტურად ვერ გამოდგება, მაგრამ მაინც, თეზისი ბუბასადმი საერთო-სახალხო ანტიპათიის თაობაზე ცოტა გადაჭარბებული მომეჩვენა.

„მე სიძულვილი გამომეცხადა და სიყვარული გაუჩინარდა...“ — 2008 წლის მოვლენების შემდეგ ბუბა კიკაბიძემ თავის რეპერტუარში ისევ დააბრუნა სიმღერა „დაჭრილ ჩიტზე“.

— ახლა თქვენგან საკმაოდ ხშირად ისმის სიტყვა „სიძულვილი“.

— მე არ მძულს რუსი ხალხი. ეს უბედურება რომ არ დატრიალებულიყო, ამ სიმღერას არც გავიხსენებდი. არცერთი რუსისთვის არასოდეს მიწყენინებია. ხალხი სხვაა და კრემლი — სხვა, მაგრამ სანამ პოლიტიკოსები ერთმანეთში არ მოილაპარაკებენ, რუსეთში არ ვიმღერებ. რუსულ კინემატოგრაფთან მიმინოს უკეთესი ურთიერთობები აქვს. რუს არტისტებთან ერთად რამდენიმე ფილმში გადაიღეს. მაგალითად, ნანი ბრეგვაძესთან ერთად მონაწილეობდა გახმაურებულ კინოპროექტში — „სიყვარული აქცენტით“.

**— რენე ჰარლინის „აგვისტოს ხუთი დღე“ ნახეთ? თქვენი აზრით, ამ ფილმში სიმართლის მარცვალი არის?**

— ვიყავი ფილმის პრეზენტაციაზე ლონდონში. ეს პროფესიონალების მიერ გადაღებული „ბოევიკია“, მაგრამ იმის მეასედიც არ არის ნაჩვენები, რაც სინამდვილეში მოხდა. ახლახან კინოსთვის ნოველა დავწერე. ეს იქნება ათწუთიანი ფილმი ომზე. ამ ათ წუთში ყველაფერია ჩატეული. იქ მე არავის ბრალს არ ვდებ, უბრალოდ, ვყვები, როგორ აღვიქვამ ყოველივე ამას. ალბათ, რეჟისორიც მე ვიქნები.

ვახტანგ კონსტანტინოვიჩი ოპონენტების ბრალდებებს თავშეკავებით პასუხობს.

— რობერტ სტურუა არავის გაუთავისუფლებია. დარჩენა სთხოვეს და დიდი ჰონორარებიც შესთავაზეს. იმიტომ, რომ გენიალური რეჟისორია. მაშინვე ვთქვი, ალბათ, რუსეთში გადაბარგება უნდა-მეთქი. ვფიქრობ, რომ ასეც მოხდება. საერთოდ, მიმაჩნია, რომ საკუთარი ნაგავი საქვეყნოდ არ უნდა გამოფინო. გარდაქმნებისას ძალიან ბევრი განაწყენებული ადამიანია; ყველა ქვეყანაში ასეა. ერთ მშვენიერ დღეს გავიღვიძეთ და — ქვეყანაში гаи აღარ არსებობს! აი, ვინც წავიდა, იმ ადამიანებიდან ვიღაცას პენსია ეკუთვნოდა, ვიღაცას არ ეკუთვნოდა. ვიღაცეებს აი, ამხელა ლიპები აჯდა. ახლა, გზებზე რომ იყო, კვების ის წყარო გადაიკეტა. და გამოჩნდნენ ახალგაზრდები, კარგად ჩაცმულები. ჩვენთან პოლიციაზე ლოცულობენ. ცხოვრებაში ყველაფერი გადაფასდა. არ არის საჭირო, რომ საკუთარი წყენა სიტუაციას მოარგო.

იმის მიუხედავად, რომ ერთ-ერთი პერსონაჟი რუსი იყო, ძეგლის გახსნაზე რუსულად არავინ ლაპარაკობდა. სამაგიეროდ, ფილარმონიაში გამართული საღამო ვახტანგ კიკაბიძეს რუსულად მიჰყავდა — მთელი ყოფილი საბჭოეთიდან ჩამოსული სტუმრების საპატივცემოდ.

საბოლოოდ, თბილისში სამუდამოდ დასახლებული ოთხეული არც ყოფილი მოძმე ხალხების მარადიული მეგობრობის სიმბოლოს ჰგავს და არც ხელისუფლებას მიტმასნილი მსახიობისთვის სიცოცხლეშივე დადგმულ ძეგლს. იგი უფრო ჩვენი, საბჭოთა კავშირში დაბადებული და გაუგებრობათა აბლაბუდაში გახვეული თაობის პორტრეტია. ვინ არიან სხვები? ვინ არიან ჩვენიანები? ვინ დაიწყო ომი? რომელ ღმერთს ვეთაყვანოთ? ვის ვემსახუროთ? ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, ბევრისთვის ნამდვილად უკეთესია იმაზე, რაც იყო. დიახ, ბოროტი მშვიდობა მართლაც სჯობს კეთილ ჟამიანობას. თუმცა, ერთი კია — ზღვარი მათ შორის ბეწვის ხიდზე გადის.



ჟურნალი ОГОНЁК

27 ოქტომბერი, 2011 წ.

გლობუსი

# შორს მიმავალი დასავლური გეგმები




**გასულ კვირას ტელეკომპანია „ევრონიუსმა“ გაავრცელა ინგლისურ გაზეთ „გარდიანის“ ცნობა, თუ როგორ ემზადება დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები ირანის ბირთვული კვლევის ობიექტებზე საჰაერო იერიშის მიტანისათვის.**

„გარდიანის“ ინფორმაცია დაემთხვა ისრაელის გაზეთებში ამავე თემაზე გამოქვეყნებულ მასალას, სადაც ისიც იყო ნახსენები, ისრაელის ავიაციამ როგორ გაიარა სპეციალური მანევრები ოპერაციის წარმატებით განხორციელებისთვის. გაზეთები იმასაც წერდნენ — როგორ ცდილობს პრემიერ-მინისტრი ნეთანიაჰუ თავისი კაბინეტის დაყოლიებას ამ საქმეში. საინფორმაციო წყაროების მიხედვით თავდასხმას ახლო მომავალში უნდა ველოდოთ, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ინფორმაცია ირანზე ზეწოლისათვის განხორციელდა და მეტი არაფერი. დასავლეთის ექსპერტების მიხედვით ირანს მხოლოდ 5-6 წლის შემდეგ თუ ექნება ბირთვული იარაღი, ამდენად ირანზე თავდასხმის გეგმა გაფრთხილებას უფრო ემსახურება, ვიდრე თავდასხმას. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ თემაზე დასავლეთში, განსაკუთრებით აშშ-ში ბევრი იწერება. ამერიკელი პოლიტიკოსები და სამხედროები არ გამორიცხავენ ამგვარს. რაც შეეხება ისრაელს — ეს ქვეყანა კარგა ხანია მზად არის ირანზე თავდასასხმელად და რომ არა ვაშინგტონის მამუხრუჭებელი როლი, ეს საქმე მას კარგა ხანია მოთავებული ექნებოდა, თუმცა საკითხავია თვით რა მდგომარეობაში იქნებოდა, ირანის საპასუხო დარტყმების შემდეგ.

ლოგიკურად იბადება კითხვა — რამ გამოიწვია ამჟამად მსგავსი ინფორმაციის გავრცელება. იქნებ მართლაც აპირებს დასავლეთი ჯიუტი ირანის მორჯულებას? იქნებ დასავლეთს იქ შექმნილი მძიმე — საფინანსო-ეკონომიკური კრიზისიდან ყურადღების გადასატანად სჭირდება სამხედრო აგრესია? იქნებ ლიბიაში „წარმატებული “ ოპერაციის შემდეგ ჯერი ირანზე მიდგა? მით უმეტეს, როდესაც დასავლური მედია რახანია ანტიირანულად ამზადებს მსოფლიოს საზოგადოებას. ირანის თემას ზომაზე მეტი ყურადღება დაუთმეს პრეზიდენტმა ობამამ, სახელმწიფო მდივანმა კლინტონმა, სხვა მაღალჩინოსნებმა. ირანს კიცხავდნენ აშშ-ში საუდის არაბეთის ელჩზე თავდასხმის მომზადებისათვის. ობამას განცხადება იყო მკაცრი, მაგრამ ერთია — რა ისეთ პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენს საუდის არაბეთის ელჩი, რომ მისი ლიკვიდაციისათვის ირანს ესოდენ ჩახლართული გეგმა მოემზადებინა? ირანის მმართველმა აიათოლა ჰამენეიმ არასერიოზული უწოდა ვაშინგტონის ბრალდებას, შეაფასა რა ის საკუთარი საშინაო პრობლემებიდან ყურადღების ირანზე გადატანად.

დასავლეთს უჭირს, რაც თვალნათლივ გამოჩნდა დიდი ოცეულის კანის სამიტზე. საბერძნეთის პრობლემა არა მარტო ევროს გაქრობას უკავშირდება, არამედ ევროკავშირის მდგრადობასაც. საბერძნეთის მიერ ევროკავშირის დატოვებას შეიძლება ევროკავშირის დასასრულიც მოჰყვეს — ასე ვარაუდობენ დასავლელი ექსპერტები. მართლაცდა დიდ გასაჭირშია დასავლეთი. ეკონომიკურ-საფინანსო კრიზისმა სერიოზული დაღი დაასვა მოსახლეობის კეთილდღეობას, გაზარდა უმუშევრობა, შეამცირა შემოსავლები, გააუარესა სოციალური პირობები, გამოიწვია მასობრივი აღშფოთება. „დაიკავე უოლ სტრიტი“-ს ამერიკელი დემონსტანტების გვერდში დღეს მსოფლიოს 90 ქვეყნის მოსახლეობაა. მოთხოვნა ერთია — შეწყდეს ხელისუფალთა მიერ ბანკებისათვის დახმარების გაწევა, შემცირდეს მდიდარსა და ღარიბს შორის უთანხმოება. მასობრივი გამოსვლები კაპიტალიზმის წინააღმდეგ არის მიმართული და რაც უფრო მეტი დრო გადის, სულ უფრო მეტი პროტესტანტი უერთდება მოძრაობას. ასეთ ვითარებაში სულაც არ არის გამორიცხული ის, რაც „გარდიანმა“ გვაუწყა მარტივი მოსაზრების გამო — ომი ყველაფერს ჩამოწერს.

ირანთან დაკავშირებით განსხვავებული იყო აშშ-ის ორი სახელმწიფო ორგანოს მოსაზრება. ერთმა — სახელმწიფო დეპარტამენტმა თქვა, რომ არ აპირებს ირანის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას, მეორემ — თავდაცვის სამინისტრომ, აღნიშნა, რომ ირანი ბარიერად ელობება აშშ-ის ინტერესებს ახლო აღმოსავლეთში. დასკვნა — ბარიერის მოსახსნელად საჭიროა ზომების მიღება. დასაფიქრებელი იყო ისრაელის პრეზიდენტის შიმონ პერესის განცხადებაც — შემდეგ გვიან არ იყოს. თუ როგორ განვითარდება მოვლენები უახლოესი პერიოდი გვიჩვენებს.

**საომარი მოქმედების დაწყება დიდ რისკთან არის დაკავშირებული. მას შეუძლია არა მარტო რეგიონის ცეცხლში გახვევა. ირანი არც ერაყია და არც ლიბია. მას მძლავრი არმია ჰყავს. საომარი მოქმედება კიდევ უფრო მტკიცედ შეკრავს ირანის მოსახლეობას და აიძულებს მას, გადადგას საპასუხო ნაბიჯი — უპირველესად ისრაელის წინააღმდეგ, სპარსეთის ყურეში ამერიკული სამხედრო გემების და იმ ქვეყნების წინააღმდეგ საიდანაც განხორციელდება საჰაერო დარტყმა. საომარი მოქმედების დაწყების შემთხვევაში რა პოზიციას დაიკავებს საქართველოს ხელისუფლება ცნობილია. ისე დაეთანხმება სტრატეგიული პარტნიორის სურვილს გამოიყენოს საქართველოს აეროდრომები. ამ შემთხვევაში გამოსაცნობი არ არის ირანის მოქმედებაც.**

მკითხველმა ის არ გაიგოს თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილია და ომი გარდაუვალია. იმედს ვიტოვებ, რომ ანტიირანული ისტერია საგაზეთო ფურცლებს არ გასცდება. ისე კი აშშ-ს ირანი 1979 წლის შემდეგ აქვს ყელში გაჩხერილი. იქედან დაწყებული რა ღონეს არ მიმართა მან ირანის „მოსარჯულებლად“ მაგრამ ამაოდ. .ნაკლები შედეგი მოაქვს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შემოღებულ ეკონომიკურ სანქციებსაც. ირანის ავტორიტეტი რეგიონის ქვეყნებში სწრაფად იზრდება, რაც დიდ პრობლემებს უქმნის აშშ-ს.

გარდა არსებული პოლიტიკური მოსაზრებისა, არის ენერგეტიკულიც. ირანი მდიდარია ნავთობითა და გაზით. ამ რესურსების გარკვეული რაოდენობა ირანის კასპიის ზღვის სექტორშია. კასპიის ზღვა აშშ-ის მიერ სასიცოცხლო ინტერესების ზონად არის გამოცხადებული. მსოფლიოს რა ხანია, ესმის „ნაბუკოს“ გაზსადენის მშენებლობის შესახებ. ახლახან მას დაემატა ტრანსკასპიური მილსადენის მშენებლობის თემაც. თურქმენეთ-აზერბაიჯანი მზად არიან ჩაერთონ ამ პროექტში. მათი აზრით, მშენებლობა მათ ტერიტორიულ წყლებში განხორციელდება და ამდენად ის სხვებს არ ეხებათ. რუსეთი და ირანი მიჩნევს, რომ ვერავითარ მშენებლობას ვერ ექნება ადგილი ვიდრე არ გაიმიჯნება ზღვა. ევროკავშირი და ამერიკა თვლიან, რომ ზღვის სექტორებად დაყოფა ხელს არ უშლის მშენებლობას, ვინაიდან ის განხორციელდება თურქმენეთ-აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. „ეს პროექტი ეხება ევროკავშირს, თურქმენეთსა და აზერბაიჯანს. როგორ ითანამშრომლებენ ისინი არავის საქმე არ არის. ვილაცის მცდელობა თავს მოგახვიოთ უფროსი ძმობა, უშედეგო იქნება, ვინაიდან თქვენ ხართ დამოუკიდებელი ქვეყნები და შეგიძლიათ დამოუკიდებლად გამოხატოთ თქვენი პოზიცია“ — განაცხადა აშშ-ის ელჩმა აზერბაიჯანში ბრაიზამ. ელჩის სიტყვები რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული, რომელიც თვლის, რომ რეგიონში მესამე ძალის გამოჩენა დაძაბავს ვითარებას, უარყოფითად იმოქმედებს კასპიის ზღვის გაყოფის მოლაპარაკებებზე.

**კასპიის ზღვა ამერიკა-ევროკავშირის წყალობით რახანია, გაუთანაბრეს სპარსეთის ყურეს და ხმელთაშუა ზღვას. დასავლეთის მიზანი მარტივია — ტრანსკასპიიური მაგისტრალით და „ნაბუკოთ“ რუსეთს წაართვას ამ აუზიდან ენერგომატარებლების ტრანსპორტირების მონოპოლია. გარდა ამისა, მას სურს შეგნებულად დაძაბოს პოლიტიკური ვითარება, გამოიწვიოს პროვოკაცია, სამხედრო დაპირისპირებაში გადაზრდის მიზნით. კასპიის ზღვას დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთ-ყაზახეთისთვის, ვინაიდან ის სპარსეთის ყურისკენ მიმავალი დერეფანია. ირანის საექსპერტო წრეებში არსებობს პროექტი, რომლის მიხედვით ირანი რუსეთს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არენდით გადასცემს სპარსეთის ყურის ზოგიერთ პორტს. კასპიის ზღვის ქვეყნებს შორის სამხედრო დაპირისპირება ნაკლებად შესაძლებელია, მაგრამ მშვიდობის სრული გარანტია არავის აქვს. იმ შემთხვევაში თუ 5 კასპიის ზღვის ქვეყნიდან რომელიმე დაუშვებს თავის ტერიტორიაზე მესამე ქვეყნის სამხედრო ძალას. ასეთის გამოჩენა ხელს შეუწყობს პროვოკაციას და სამხედრო კონფლიქტს, მით უმეტეს, როდესაც აუზი იარაღით არის სავსე.** მაგალითად, რუსეთს ჰყავს 27 სამხედრო გემი და რამდენიმე ათეული მცურავი აპარატი. 2020 წლისათვის ფლოტს 16 ახალი გემი დაემატება. ირანს შედარებით 50 მომცრო გემი ჰყავს, აგრეთვე საპატრულო კატარღები. უახლოეს მომავალში მას გადაწყვეტილი აქვს 75 სარაკეტო ხომალდისა და კატარღის მშენებლობა. აზერბაიჯანს აქვს თურქეთის მიერ გადაცემული 30 საზღვაო კატარღა, სამი ამერიკული გემი. ამერიკელთა დახმარებით აზერბაიჯანმა შექმნა რადიოსალოკაციო სისტემა თავის სანაპირო ზოლში. ყაზახეთს 17 სამხედრო კატარღა აქვს. თურქმენეთს აქვს ირანიდან ნაყიდი 7 სანაპირო ზოლის დაცვის ხომალდი, რაკეტებით აღჭურვილი 3 რუსული ხომალდი, 2 სწრაფმავალი თურქული საპატრულო გემი.

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტმა ნათელყო, რომ საერთაშორისო სამართლის მთავარ პრინციპად ძალა რჩება. ამიტომაც 5 ქვეყანა ცდილობს, გაზარდოს შეიარაღება, მათ შორის ნეიტრალური თურქმენეთიც. ყველას ახსოვს 1997 წელი და ლამის ომამდე მისული თურქმენეთ-აზერბაიჯანის კამათი ნავთობსაბადოებთან დაკავშირებით. ეს პრობლემა დღემდე მოუგვარებელია, მაშინ ელცინის ძალისხმევით იქნა აცილებული სამხედრო დაპირისპირება. განხეთქილების ვაშლად არის ქცეული სამი ნავთობსაბადო — სარდარი, იგივე კიაპაზი აზერბაიჯანულად, მისი მარაგი 50 მილიონი ტონაა. ოსმანი და ომარი, იგივე აზერი და ჩირაგი. მათ დამუშავებაში კარგა ხანია მონაწილეობენ BP, სტატოილი და ექსონმობილი.

**ყოველივე აღნიშნული თავისთავად მიგვანიშნებს კასპიის ზღვის საკითხის სერიოზულობაზე, იმაზეც, რა იოლად შეიძლება პატარა ნაპერწკლიდან ხანძრის გაჩენა. ცხადია ხანძარში არც ერთი კასპიის ზღვის ქვეყანა არ არის დაინტერესებული. ასეთი სხვას აქვს. ხანძრის აგიზგიზება სერიოზულად დააზიანებს ირანს, თვით ქვეყნის შიგნით გაიზრდება უკმაყოფილება, დასავლეთის მეცადინეობით და ფინანსებით ადგილი ექნება ირანის კლერიკალური ხელისუფლების დამხობის მცდელობას. 30 წელია აშშ ოცნებობს ამ სცენარის გათამაშებას, თუმცა უშედეგოდ. ვეჭვობ მსგავსმა სცენარმა დღეს მოიტანოს მისთვის სასურველი შედეგი.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

---

ინფორმაცია

## ზეევ ფრენკელის ქალიშვილმა პრეზიდენტს ბიზნესმენის შეწყალების თხოვნით კიდევ ერთხელ მიმართა

**ამის შესახებ „პირველს“ ფრენკელის ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა აცნობა.**

**წერილში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ თუ პატიმარს არ შეიწყალებენ, ის მოკვდება. პრეზიდენტის სახელზე ადმინისტრაციაში აღნიშნული წერილი დაახლოებით ერთი კვირის წინ შევიდა, მაგრამ პასუხი ამ დრომდე არ არის“, — განუცხადა „პირველს“ კბილაშვილმა.**

**მისივე ინფორმაციით, ინფარქტგადატანილი ფრენკელი სასჯელის მოხდას კვლავ სასჯელაღსრულების რესპუბლიკურ საავადმყოფოში განაგრძობს.**

## კომპანია „სარაჯიშვილმა“ რუსულ ბაზარზე დაბრუნება „გადაიფიქრა“

**როგორც „პირველს“ კომპანია „სარაჯიშვილში“ განუცხადეს, „იმ შემთხვევაში, თუ საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობები არ დარეგულირდება, „სარაჯიშვილი“ რუსეთის ბაზარზე ცალკე არ დაბრუნდება“.**

**„როსპოტრებნადზორს“ ქართული კონიაკის რუსულ ბაზარზე დაბრუნების თხოვნით არა ბოლო პერიოდში, არამედ ჯერ კიდევ 2006 წელს მიმართეს, პასუხი კი მხოლოდ ახლა მიიღეს. ჩვენი წერილი ახლა განიხილეს და მოგვწერეს, რომ აინტერესებთ, თუ რა პროდუქციას ვაწარმოებთ, როდიდან და ა.შ. სტავროპოლის მხარიდან მათი ექსპერტები უნდა ჩამოვიდნენ და კონიაკის სინჯები შეისწავლონ. ველოდებით პასუხს“, — განაცხადა სარაჯიშვილის გენერალურმა დირექტორმა ბუბუტეიშვილმა.**

## „რუსეთის მსო-ში გაწევრება ქართული ღვინისა და „ბორჯომისთვის“ რუსული ბაზრის ავტომატურ გახსნას არ ნიშნავს“

**„არა, ეს ამას არ ნიშნავს, იმედი ნუ ექნებათ“, — განაცხადა ონიშჩენკომ ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ.**

**ამასთან, ონიშჩენკოს თქმით, „ამჟამად ქართული კომპანია „სარაჯიშვილის“ კონიაკის მიწოდების საკითხი განიხილება“.**

**„მიმდინარე კვირას მათ აუცილებელი დოკუმენტები უნდა წარადგინონ, მერე ვნახოთ“, — განაცხადა რუსეთის მთავარმა სანიტარმა.**

**რაც შეეხება „ბორჯომს“, ონიშჩენკომ აღნიშნა, რომ „ჯერჯერობით საუბრები მიმდინარეობს“.**

„პირველი“

ჯანდაცვა



# „წამალი“, რომელიც ხშირად წამალს სჯობს!

## მეტი ყურადღება დავუთმოთ მოძრაობით მკურნალობას – კინეზოთერაპიას!

**მედიცინის მეტად მნიშვნელოვანი მიმართულების – აღდგენითი მკურნალობის ანუ რეაბილიტაციის პრობლემა მეტად აქტუალურია.**

სამედიცინო რეაბილიტაციაში არჩევენ ავადმყოფის თერაპიული, მედიკამენტური, ქირურგიული, ფსიქოლოგიური და ფიზიკური რეაბილიტაციის ღონისძიებების ხშირად კომპლექსურ განხორციელებას. თერაპიული ტიპის რეაბილიტაცია ხორციელდება თანამედროვე ფარმაციის მიღწევების საფუძველზე. მაგალითად, წამლებით გულის კუნთის კუმშვადობის ფუნქციის გაუმჯობესება, გულის მუშაობის დარღვეული რიტმის აღდგენა, ბრონქოსპაზმის სტაბილურად მოხსნა, სტომატოლოგიაში კარიესული კბილის აღდგენა და სხვ. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს აღდგენითი მკურნალობის ჩატარებას, როცა აუცილებელია ქირურგიული მკურნალობა, რეაბილიტაციის ტიპის ოპერაციების მეშვეობით დაზიანებულ-გაგლეჯილი კუნთის ან ნერვის გაკერვა, სახსრებზე წარმოებული ყველა სახის ოპერაცია, მოტეხილი ძვლის ფრაგმენტების შეერთება და მათი ფიქსირება, ყბა-სახის ოპერაციები, სალეჭი აპარატის ფუნქციის აღდგენა და სხვ. ფსიქოლოგები და ექიმები (განსაკუთრებით ფსიქიატრები და ნევროპათოლოგებიძ წარმატებით ატარებენ ავადმყოფთა ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას და ა. შ.

რაც შეეხება ავადმყოფთა ფიზიკურ რეაბილიტაციას, იგი ორი ძირითადი მიმართულებით განიხილება. ერთია მკურნალობა ფიზიკური თერაპიის მეთოდით. მას მიეკუთვნება ელექტროდენით ფიზიოფარმაკოთერაპია, სინათლით, სითბოთი, წყლით, ტალახით და მთელი რიგი საკურორტო ფაქტორებით ჩატარებული ფიზიკური რეაბილიტაცია. ამ საშუალებებით ფიზიკური რეაბილიტაცია საქართველოში საკმაოდ მაღალ დონეზე ტარდება სხვადასხვა დაავადებისა და დაზიანებათა დროს. ავადმყოფის ჯანმრთელობისა და შრომისუნარის აღდგენის საქმეში მნიშვნელოვანი ეტაპია საკურორტო მკურნალობა, ვინაიდან ამ ფაქტორებით (კლიმატი – სხვადასხვა ჰავა, მღვიმის მიკროკლიმატი, ბალნეოთერაპია – სხვადასხვა წყლის აბაზანები, სამკურნალო ტალახი და სხვ.ძ ჩატარებული აღდგენითი მკურნალობა კინეზოთერაპიის მეთოდთან ერთად გადამწყვეტ როლს ასრულებს ავადმყოფის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის სრულყოფის საქმეში.

თუმცა, იმის მიუხედავად, რომ ჩვენს ქვეყანას, ღვთის მადლით, ყველა სახის უამრავი კურორტი აქვს, ავადმყოფთა კომპლექსურ მკურნალობაში საკურორტო ფაქტორები მაინც შედარებით ნაკლებად გამოიყენება, ასე იმიტომ ხდება, რომ, ერთი მხრივ, ექიმთა გარკვეული ნაწილი არასათანადო ყურადღებას უთმობს საკურორტო ფაქტორებით ავადმყოფის აღდგენითი მკურნალობის დამთავრებას, ხოლო, მეორე



მხრივ, თვით ავადმყოფები, სცოდავენ, რომლებიც თუნდაც ამ საკითხში არასათანადო განათლების გამო, ხშირად კურორტზე მკურნალობის ნაცვლად ირჩევენ სხვა ხასიათის ეკონომიკური ხარჯების (რამის შეძენა, მოგზაურობა და სხვ.ძ გაწევას, რაც უდავოდ შეცდომაა.

კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ავადმყოფთა კომპლექსურ მკურნალობაში არაჯეროვანი ყურადღება ეთმობა ფიზიკური ვარჯიშით, ანუ კინეზოთერაპიის მეთოდით (კინეზო – მოძრაობა, თერაპია – მკურნალობაძ ავადმყოფთა რეაბილიტაციას, რაც ხშირად ინვალიდობის განვითარების მიზეზი ხდება.

კინეზოთერაპიის (ადრე მას სამკურნალო ფიზკულტურა ეწოდებოდაძ დროს აღდგენითს მკურნალობაში გამოიყენება სხვადასხვა მრავალრიცხოვანი სამკურნალო ვარჯიში, მასაჟი, ვარჯიში იარაღებით და იარაღებზე (ტრენაჟორებიძ, ვარჯიში წყალში და სხვა, რაც განაპირობებს ავადმყოფისთვის განსაკუთრებით დაკარგული ან დაქვეითებული მოძრაობითი ფუნქციის აღდგენას, რაც უკინეზოთერაპიოდ უფრო ხშირად ვერ ხერხდება.

მთელ მსოფლიოში სამკურნალო ვარჯიშებით ანუ მოძრაობით მკურნალობა – კინოზოთერაპია მიჩნეულია როგორც ავადმყოფის ფიზიკური რეაბილიტაციის წამყვანი მეთოდი, რომლის მკურნალობაში დროულად გამოყენება ავადმყოფის გამოჯანმრთელების მოძრაობითი ფუნქციების და შრომისუნარის აღდგენის საწინდარია.

და მით უფრო სამწუხაროა, რომ ეს მეთოდი სათანადოდ ან საერთოდ არ გამოიყენება ისეთი პათოლოგიების მკურნალობისას, როგორიცაა სუნთქვის ორგანოების დაავადებები, გულის კუნთის ინფარქტი, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის დაზიანებები, სახსრების დაავადებები, ძვლების მოტეხილობათა სხვადასხვა სახეობები, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პათოლოგიები ბავშვებში (განსაკუთრებით ხერხემლის გამრუდებაძ და სხვა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ავადმყოფები უფულობის გამო კლინიკური ვითარების გაუმჯობესების შემთხვევაში სტაციონარიდან ადრე ეწერებიან და, კვლავ ფინანსური პრობლემების გათვალისწინებით, ვერც პოლიკლინიკურად თუ ბინაზე ახერხებენ სამკურნალო ვარჯიშებითა და მასაჟის პროცედურებით მკურნალობის გაგრძელება-ჩატარებას.

ამიტომაც სოციალურად დაუცველ და უაღრესად ხელმოკლე ავადმყოფებს, ვისაც აუცილებლად ესაჭიროება კინეზოთერაპიის მეთოდით მკურნალობა, იგი სახელმწიფოს ხარჯზე უნდა ჩაუტარდეს, ან საჭიროა სხვა გზის გამოძებნა. ვინაიდან აღნიშნული მკურნალობა ხანგრძლივი და საკმაოდ ძვირადღირებულია, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყველა სარეაბილიტაციო ავადმყოფის ჯეროვანი კონსულტაცია, რათა თავიდან ავიცილოთ მოქალაქეთა ინვალიდობა.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სათანადო მუშაობა წარმოებს იმისთვის, რომ მომავალმა მედიკოსებმა კარგად იცოდნენ აღდგენით მკურნალობაში ფიზიოთერაპიისა და კინეზოთერაპიის გამოყენება. უნივერსიტეტში მოქმედებს სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის და ფიზიოთერაპიის და კუროროტოლოგიის დეპარტამენტები (კათედრებიძ. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე ამზადებენ მომავალ რეაბილიტოლოგებს, დაწყებულია სათანადო კლინიკური ბაზების შექმნისა და საჭირო აპარატურის შეძენის სამუშაოები და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები სათანადო გადამზადების შემდეგ რეაბილიტაციის მიმართულებითაც შეძლებენ მუშაობას.

იმედი ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში საქართველოში ფიზიკურ რეაბილიტაციაშიც გვეყოლება მომზადებული კადრები, შეიქმნება მუშაობისთვის სათანადო პირობები, რათა თანამედროვე დონეზე ვაწარმოოთ ავადმყოფთა ფიზიკური რეაბილიტაცია, სადაც მოძრაობით მკურნალობას – კინეზოთერაპიას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა.

**რომანოზ სვანიშვილი,**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი**

საზოგადოება

# მოდი ჩემო პატარა, გენაცვალოს „მშობელი ნომერი ერთი!“

**ნისლიანი ალბიონიდან მოსულმა ამბავმა ნამდვილად შოკი გამოიწვია: ამიერიდან ბრიტანელები ანკეტებიდან და პასპორტებიდან სიტყვებს „დედასა“ და „მამას“ ამოიღებენ. ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ მათ სიტყვები „მშობელი №1“ და „მშობელი №2“ ჩაანაცვლებენ...**

თქვენი არ ვიცი, პატივცემულო მკითხველო, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ბრიტანული პოლიტკორექტულობა და ტოლერანტობა უსაზღვროდ ბრიყვულ ფორმას იძენს. სიტყვებს (მაშასადამე, მცნებასაც კი!ძ „დედასა“ და „მამას“ ოფიციალური საბუთებიდან, რომლებიც პასპორტის მიღებისთვისაა საჭირო, ამოშლიან... ჰომოსექსუალისტებისა და ლესბოსელების საამებლად!



ანკეტების ფორმატს წლის დამლევამდე შეცვლიან, რათა, როგორც ოფიციალურად განაცხადეს, „ბავშვების აღმზრდელ ერთსქესა წყვილთა ინტერესები არ შეიბღალოს“. ბრიტანეთის საინფორმაციო საშუალებათა ცნობით ანკეტებში ცვლილებების შეტანა ლობისტური ჯგუფის Stonewalle-ის დიდი ძალისხმევის შედეგია, რომელიც სექს-უმცირესობათა ინტერესთა დამცველია.

ბრიტანული კანონმდებლობით, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირები, ვინც ბავშვს აღსაზრდელად აიყვანენ, ოფიციალურად მის მშობლებად ითვლებიან. ხოლო თუ ისინი სუროგატი დედის მომსახურებით ისარგებლებენ, მაშინ მათთვის აუცილებელია სასამართლოს დადგენილების მიღება, რომელიც მათ მშობლებად აცხადებს.

რაც შეეხება ჰომოსექსუალისტების ორიენტაციასა და მიდრეკილება-მისწრაფებებს, აქ ყველაფერი კია ნათელი, მაგრამ რატომ არის, რომ უმცირესობათა ინტერესების დაცვის მოტივით, უკაცრავად და უმრავლესობას თავზე ფეხს ადგამენ, ყველაზე მეტად ესაა გასაოცარი და გასაკვირი თავაზიანობით განთქმული ბრიტანელებისგან. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დედოფლის ქვეშევრდომებს შორისაც აღმოჩნდნენ საღად მოაზროვნე ადამიანები, რომლებმაც ახალი წესის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ოჯახურ ფასეულობათა დამცველი ჯგუფების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სიტყვების „დედისა“ და „მამის“ შეცვლა ძირს უთხრის ოჯახების სიმტკიცეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ანკეტებში უნივერსალიზმის მიღწევის სურვილი სახელმწიფო მოხელეებში უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ისე, კაცმა რომ თქვას, თუკი მათი მონდომებით ვიმსჯელებთ, მშობლების „დანომვრა“ პირადად მათაც ხელს უნდა აძლევდეს. საპასპორტო სამსახურის წარმომადგენელთა განცხადებით, ინფორმაცია სარწმუნო არ იქნება, თუკი ჰომოსექსუალისტი-მშობლების ორიენტაციას არ მიუთითებენ.

სექსუალურ უმცირესობათა ინტერესის დამცველთა განცხადებით, თავს ჰომოსექსუალისტებად დიდ ბრიტანეთში მოსახლეობის 10 პროცენტი აღიარებს. თუმცა ეროვნული სტატისტიკის ხელმძღვანელობა ამ ციფრებს სკეპტიკურად უდგება. მათი ანგარიშით ჰომოსექსუალისტთა და ბისექსუალთა რიცხვი ქვეყანაში 1,5 პროცენტს არ აღემატება.

უნდა ითქვას, რომ მანამდე სიტყვების „დედისა“ და „მამის“ სამსახურებრივი ბლანკებიდან მოცილებას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტიც ცდილობდა, თუმცა ბოლომდე ამ საქმის მიყვანა მაინც ვერ შეძლო. დიპლომატებს აღშფოთებულ მოქალაქეთა შემოტევების მოგერიება მოუხდათ. ბოლოს სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ კომპრომისი აირჩია: ბლანკებში ახლა ასეთი აღნიშვნაა – „დედა, ანუ მშობელი ნომერი ერთი “, „მამა, ანუ მშობელი ნომერი ორი“.

ამ არცთუ სახალისო ამბავმა ერთი სხარტი თქმა გამახსენა, რომელიც მსოფლიოში სადღეისოდ შექმნილ ვითარებას ესადაგება: ძველი საბერძნეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი გვიჩვენებს, რომ მონების გარეშე ჭეშმარიტი დემოკრატიის აშენება შეუძლებელია. ლოგიკას თუ მივყვებით გამოდის, რომ მომავლის გზა ყველას დაკეტილი ექნება, ვინც „მშობელი №1“ ან „მშობელი №2“ არ არის?

ღმერთმა დაგვიფაროს.

**ირმა ირემაშვილი**

ინფორმაცია

## განათლების სამინისტროს უფლებები ეზრდება

**ამასთან დაკავშირებით ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონში შედის.**

**კანონპროექტის მიხედვით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, შტატგარეშე მოსამსახურეთა თანამდებობებისა და რაოდენობის, სამინისტროსთან შეთანხმება მოუწევთ.**

**კანონპროექტის ავტორი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროა, ინიციატორი კი – მთავრობა. პროექტის განხილვა პარლამენტს ჯერ არ დაუწყია.**

ინტერპრესი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ბიძინა ივანიშვილი:
# ჩვენ სააკაშვილს არჩევნების გზით შევცვლით

მას ჯერ არ შეუქმნია თავისი პოლიტიკური სტრუქტურა, მაგრამ მას უკვე უწოდებენ მმართველი პარტიის ყველაზე სერიოზულ კონკურენტს. მისი ერთი განცხადება საკმარისი იყო იმისთვის, რომ გამოცოცხლებულიყო საკმაოდ დუნე საშინაო-პოლიტიკური ცხოვრება საქართველოში.

მისი სახელი საქართველოში იცოდა ყველამ, მაგრამ ცოტა ვინმე თუ შეხვედრია ბიზნესმენსა და მილიარდერ ბიძინა ივანიშვილს პირადად. ის საკმაოდ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა მშობლიურ სოფელში დასავლეთ საქართველოში, არ ერეოდა პოლიტიკაში და არ ახმაურებდა თავის ფართო საქველმოქმედო საქმიანობას.

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ბიზნესმენის ეს ფართო ქველმოქმედება, რომლის ქონებამაც ჟურნალ „ფორბსის" შეფასებით, წელს 5,5 მილიარდი დოლარი შეადგინა, შეუმჩნეველი როდი დარჩა, მან მოუტანა მას პოპულარობა და გადააქცია საქართველოს ამჟამინდელი ხელმძღვანელობის სერიოზულ კონკურენტად.

ივანიშვილის პირველი განცხადების შემდეგ, რომ აპირებს შექმნას პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მიიღოს 2012 წლის პარლამენტის არჩევნებში, ოპოზიცია შესამჩნევად გამოცოცხლდა, პარლამენტის დეპუტატებმა კი მმართველი პარტიიდან ერთი-მეორის მიყოლებით კრიტიკის ქარცეცხლი გააჩაღეს. მას ხან ბრალს სდებდნენ მცდელობაში, შეისყიდოს ქართული პოლიტიკა, ხან კრემლის სურვილების გამტარებლობაში და მისი ნების შესრულებაში.

დღეს ივანიშვილი ერთ-ერთი ყველაზე მთავარი და ყველაზე პოპულარული გმირია ადგილობრივ ახალ ამბებში, მის ბიზნეს-ცენტრთან თბილისში კი ზოგჯერ საათობით მორიგეობენ ჟურნალისტები.

55 წლის ბიზნესმენი შეგვხვდა თავის ბიზნეს-ცენტრში თბილისში, რომლის დარბაზებშიც ადვილად შეიძლება დაიკარგო კიდეც.

ივანიშვილი ღიმილით თავისუფლად გადადიოდა ხან რუსულ, ხან ფრანგულ ენებზე, მაგრამ შეკითხვებზე პასუხს ინტერვიუს დროს ამჯობინებდა მშობლიურ ქართულ ენაზე.

„ჩემთვის მთავარია არა ის, იცის თუ არა ხალხმა, მდიდარი ვარ თუ არა, არამედ ის, რომ მათ იციან, მე არ ვატყუებ, და იციან, თუ ვინ ვარ მე, – განმარტავს ივანიშვილი. – ამიტომ მთავარი და გადამწყვეტი – ეს ნდობაა".

გაზეთ „ვედომოსტისთვის" 2005 წელს მიცემულ ინტერვიუში მილიარდერი ყვებოდა, თუ იგი, მეშახტის შვილი, რომელიც დასავლეთ საქართველოში სოფელ ჭორვილაში დაიბადა, როდესაც იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი, ერთდროულად როგორ მუშაობდა ერთ-ერთ ქარხანაში დამლაგებლად, დამხმარე მუშად, შემდეგ კი მხეხავად.

დღეს ივანიშვილი, რუსული „ფორბსის" თანახმად, უმდიდრესი ბიზნესმენების მსოფლიო რეიტინგში 185-ე ადგილზეა და 25-ე ადგილზე რუსეთის ყველაზე მდიდარ ადამიანებს შორის.

„რუსეთში ჩემი ცხოვრების საუკეთესო 20 წელი გავატარე, – უამბო ივანიშვილმა ბი-ბი-სის რუსულ სამსახურს. – 1982 წელს შევედი ასპირანტურაში, დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია, შემდეგ ვაპირებდი სადოქტორო დისერტაციის დაცვასაც. მაშინ დაიწყო გარდაქმნა და მე ბიზნესში ჩავერთე... დაახლოებით 20-დან 28-მდე და 47 წლამდე გავატარე რუსეთში. შეიძლება ითქვას, რომ საუკეთესო წლები – ფიზიკური და ინტელექტუალური თვალსაზრისითაც – მე რუსეთში გავატარე".

ივანიშვილი ამბობს, რომ რუსეთში აღარ ყოფილა უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ მისი კაპიტალის დაახლოებით ერთი მესამედი დღესაც რუსეთშია. მეტ დროს ის ატარებდა საფრანგეთში, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა.

უკანასკნელი წლები ივანიშვილი ცხოვრობდა თავის მშობლიურ სოფელში დასავლეთ საქართველოში. მისი სიტყვებით, ის დაბრუნდა საქართველოში იმიტომ, რომ „მოენატრა სამშობლო".

### რუსული პროექტი თუ ქართული ოცნება?

რომ თავიდან აეცილებინა სპეკულაცია კრემლთან კავშირის გამო, ივანიშვილმა გადაწყვიტა, უარი ეთქვა რუსეთის მოქალაქეობაზე და განაცხადა, რომ აპირებს გაყიდოს მთელი თავისი ბიზნესი რუსეთში 2012 წლის არჩევნებამდე.

მაგრამ ივანიშვილის ბიოგრაფიამ, რუსეთში ბიზნესმა და მისმა განცხადებებმა მმართველ პარტიას მისცეს საბაბი, დაედანაშაულებინათ ახლადგამოჩენილი ოპოზიციონერი რუსეთის ხაზის გატარებაში.

მმართველი პარტიიდან დეპუტატების სიტყვებით, ივანიშვილის განცხადებები ეხმიანებიან რუსეთის



ხელმძღვანელობას, თავად ბიზნესმენი კი ცდილობს, შეისყიდოს „ქართული პოლიტიკა რუსული კაპიტალის დახმარებით".

როგორც მაშინ ივანიშვილმა თქვა, სააკაშვილმა, იმის ნაცვლად, რომ გამოეყვანა მოსახლეობის ნაწილი სოფლებიდან, რომლებსაც ბომბავდნენ „გაურკვეველი ფორმირებები ოსური სოფლებიდან", და მოეწვია მეთვალყურეები საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ჩაიდინა აბსოლუტურად მოუფიქრებელი, არაადეკვატური მოქმედებები და დაიწყო ცხინვალის დაბომბვა".

ივანიშვილს მიაჩნია, რომ სიტუაცია, რომელიც შეიქმნა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, ხელს არ აძლევს რუსეთს როგორც უშიშროების, ისე საერთაშორისო გაერთიანებასთან დაკავშირებით, და მას იმედი აქვს, რომ ორი სახელმწიფოს ინტერესების თანხვედრა დაგვეხმარება, მკვდარი წერტილიდან დავძრათ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი.

ამ დროს რუსეთის მთავრობას უნდა აკრიტიკებდეს რუსეთის ხალხი, მიაჩნია ივანიშვილს, ხოლო საქართველოს მოსახლეობამ პასუხები უნდა მოსთხოვოს თავის მთავრობას.

„პრეტენზიები არის ორივე მხარის მიმართ, და დამნაშავეებიც ორივე მხარეა, – განაცხადა ივანიშვილმა ბი-ბი-სის რუსულ სამსახურთან ინტერვიუში. – მაგრამ ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოვთხოვოთ ჩვენს მთავრობას დიპლომატიურობა. გაცილებით უფრო დემოკრატიულ ქვეყნებს, ვიდრე საქართველოა, დღეს აქვთ დიპლომატიური ურთიერთობანი უფრო ნაკლებ დემოკრატიულ სახელმწიფოებთან, ვიდრე რუსეთია... ჩვენ ვალდებული ვართ, გამოვნახოთ საერთო ენა ჩვენს დიდ მეზობელთან".

ამ დროს, მისი სიტყვებით, თავად საქართველოში აუცილებელია მოხდეს გარდაქმნები იმასთან დაკავშირებით, რომ მოწესრიგდეს ურთიერთობა მისგან გამოყოფილი რეგიონების მოსახლეობასთან.

რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებასთან ერთად, ივანიშვილს გათვალისწინებული აქვს ასევე გააღრმაოს ურთიერთობანი ევროპასთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

მისი სიტყვებით, ნატო საქართველოსთვის საუკეთესო და უალტერნატივო ვარიანტია, მაგრამ თუ საქართველოს შესვლა ალიანსში შეუძლებელია ანდა შესაძლებელია მხოლოდ შორეულ მომავალში, საქართველომ გარკვეულ პერიოდში და გარკვეულ ეტაპზე უნდა მონახოს თავისი „შესაბამისი ადგილი" გეოპოლიტიკაში.

„სააკაშვილის საქციელმა დაგვაშორა ნატოსთან შეერთების პერსპექტივასთან და ჩვენ ხუთი წუთის განმავლობაში არ შეგვიძლია შევცვალოთ მდგომარეობა, მე ეს კარგად მესმის, – ამბობს ივანიშვილი. – რასაკვირველია, ჩვენ გავაგრძელებთ თანამშრომლობას ამ მიმართულებით, მაგრამ ეს არ იქნება ერთადერთი გზა".

ხელისუფლების მოქმედება ივანიშვილის პოლიტიკურ სცენაზე გამოჩენის პასუხად, პოლიტოლოგების აზრით, ხელს აძლევს უფრო მეტად შერისხულ მილიარდერს, მოუმატა მას პოპულარობა საქართველოს მოსახლეობას შორის.

„ხელისუფლების საპასუხო აქციები იყო საკმაოდ მოუფიქრებელი და მათ შექმნეს ისეთი შთაბეჭდილება, რომ მთავრობას ძალიან ეშინია ივანიშვილისა და ყველანაირად ცდილობს, შეასუსტოს იგი, – თქვა ბი-ბი-სი-სთან ინტერვიუში ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში კავკასიურ გამოკვლევათა საერთაშორისო სკოლის დირექტორმა გია ნოდიამ. – საბოლოო ჯამში ეს უფრო მის სასარგებლოდაა, ვიდრე მთავრობის სასარგებლოდ".

ერთ-ერთი პირველი ასეთი ნაბიჯი, რომელიც ბევრმა შეაფასა როგორც ხელისუფლების მცდელობა, თავიდან მოეშორებინა პოლიტიკური კონკურენტი, იყო ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა, რის შესახებაც ცნობილი გახდა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ მისი პირველივე განცხადებისთანავე.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს განცხადებით, ივანიშვილი იყო რუსეთის მოქალაქე, როდესაც 2004 წელს მას მისცეს ასევე საქართველოს მოქალაქეობაც. მაგრამ ამის შემდეგ ცნობილი გახდა იმის შესახებ, რომ მან მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა, და ეს გახდა ოფიციალური მიზეზი მისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევისთვის.

თუ ივანიშვილი ვერ შეძლებს, აღიდგინოს საქართველოს მოქალაქეობა, მას წაერთმევა ასევე შესაძლებლობა, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში.

ივანიშვილს იმედი აქვს, რომ საქართველოს საზოგადოებრიობა და საერთაშორისო გაერთიანება აიძულებენ პრეზიდენტს, დაუბრუნოს მას მოქალაქეობა. მაგრამ ეს კიდეც რომ არ მოხდეს, შერისხული ბიზნესმენი არ აპირებს უკან დახევას.

„ჩვენ ვქმნით საზოგადოებრივ მოძრაობას, პარალელურ რეჟიმში შევქმნით პოლიტიკურ პარტიას, რომელშიც შევა ერთ-ერთი ჩემი ნათესავი, ვინც ჩემს გვარს ატარებს, – თქვა ივანიშვილმა. – ჩვენ მაინც მივალთ არჩევნებამდე და აუცილებლად შევცვლით სააკაშვილს არჩევნების გზით. არანაირი მეთოდებით – არც კანონიერი და არც უკანონო მეთოდებით, სააკაშვილი ვერ შეძლებს დარჩეს ხელისუფლებაში".

ამ დროს ახლადგამოჩენილი ოპოზიციონერი უარყოფს რევოლუციურ სცენარს საქართველოში, აცხადებს, რომ ხელისუფლების შეცვლა ქვეყანაში უნდა მოხდეს „მხოლოდ ლეგიტიმური საშუალებით – არჩევნების გზით".

### სერიოზული მოთამაშეა?

საქართველოში ძლიერი პოლიტიკური მოთამაშის გამოჩენა, რომელსაც შეეძლებოდა, გარკვეული თვალსაზრისით, ყოფილიყო ამჟამინდელი მთავრობის დაპირისპირება, აუცილებელია საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის, მიაჩნია გია ნოდიას.

„სხვა საკითხია, რეალურად რამდენად ძლიერი მოთამაშეა ივანიშვილი, – აღნიშნავს იგი. – მე მგონია, რომ ეს უფრო მითია, ვიდრე რეალობა, ვინაიდან ეს ყველაფერი პოლიტიკურ სასწაულად გეჩვენება – გამოჩნდა კაცი, რომელსაც არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არ გააჩნია, აქვს მხოლოდ ფული".

მაგრამ, მიუხედავად პოლიტიკაში გამოცდილების უქონლობისა, ივანიშვილმა მოკლე დროში შეძლო, გამხდარიყო ოპოზიციის ლიდერი მოთამაშე, რომელზეც ქვეყნის ამჟამინდელი ხელმძღვანელობისადმი კრიტიკულად განწყობილი მცხოვრებლები დიდ იმედებს ამყარებენ.

პოლიტოლოგის აზრით, ეს დაკავშირებულია როგორც არსებულ ოპოზიციურ ლიდერებთან დაბალი ნდობით, ისე ივანიშვილის საფინანსო რესურსებით.

„არსებობდა მოთხოვნა ახალ ლიდერზე ოპოზიციის ბანაკში, ლიდერზე, რომელიც ჯერ კიდევ არ ყოფილა დისკრედიტებული... ამას გარდა, არსებობდა პოლიტიკური მითი, რომ ოპოზიციის სისუსტე ძირითადად იმალება რესურსების უკმარისობაში, – აღნიშნავს ნოდია. – ივანიშვილი თითქოს უპასუხებს ამ მითების ყველა მოთხოვნებს – ეს არ არის დისკრედიტებული ფიგურა და მას ბევრი რესურსი აქვს. მაშასადამე, გაჩნდა იმედები, რომ, ბოლოს და ბოლოს, ოპოზიცია გახდა ძლიერი".

მაგრამ, ექსპერტ-პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის აზრით, ივანიშვილის მაღალი პოპულარობა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ მისი ქონებით ან წარმატებებით ბიზნესში.

„ბევრი შემთხვევა ყოფილა, როდესაც ამა თუ იმ მდიდარ ქართველს სურდა შესულიყო პოლიტიკაში, მაგრამ ეს ხალხს არ აღელვებდა, – ამბობს საყვარელიძე. – ივანიშვილთან სიტუაცია სხვაგვარია სწორედ იმიტომ, რომ საქმე ფულში არ არის. აქ გადამწყვეტი როლი შეასრულა მისმა ქველმოქმედებამ, რწმენამ იმისა, რომ მას სიკეთე სურს ქვეყნისთვის".

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**სტრასბურგმა კვლავ დასაჯა რუსეთი: მას მოუწევს, გადაუხადოს პატიმარს, ჩეჩენ ქალსა და უზბეკ ლტოლვილს**

საერთო ჯამში ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ რუსეთის ხელისუფლებას დაავალა, გადაუხადოს სამ მოსარჩელეს თითქმის 87 ათასი ევრო. ყველაზე შთამბეჭდავი კომპენსაცია უნდა მიიღოს გროზნოს მცხოვრებმა ქალმა, რომელიც ამტკიცებს, რომ 2003 წელს რუსმა მედესანტეებმა მოიტაცეს მისი ვაჟიშვილი – მის შემდეგ მან არაფერი იცის შვილის ადგილმდებარეობის შესახებ.

* * *

**კერძო დეტექტივი „ნიუ სოფ დი ვორდის" დაკვეთით მრავალი წლის განმავლობაში თვალყურს ადევნებდა ასობით ცნობილ ადამიანს**



ყოფილი პოლიციელის დერეკ უების სიტყვებით, ამგვარ დავალებას ის ბევრს ასრულებდა. ჟურნალისტებს შეეძლოთ, დაერეკათ მისთვის დღისა და ღამის ნებისმიერ დროს და გაეგზავნათ ქვეყნის ნებისმიერ წერტილში. ის აღიარებს, რომ „საგაზეთო პუბლიკაციებმა დაუნგრია ცხოვრება ზოგიერთ ამ ადამიანს". მაგრამ მათთვის თვალყური მე რომ არ მედევნებინა, სულერთია, მაინც ვინმე გამოჩნდებოდა.

* * *

**ავიამზიდის ოდენობის ასტეროიდმა მშვიდობიანად ჩაუარა გვერდით დედამიწას**



ეს მოხდა ჩვენი პლანეტიდან უფრო ახლო მანძილზე, ვიდრე ამას „ნასა" ანგარიშობდა. აი დედამიწასთან მაქსიმალური დაახლოების დრო კი ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსურმა უწყებამ გამოიცნო ზუსტად – 9 ნოემბერს, 3 საათსა და 28 წუთზე თბილისის დროით.

* * *

**ყაზახეთში გამოაცხადეს საიდ ბურიატსკის მიმდევრების ბანდის ლიკვიდაციის შესახებ. ბანდა აწყობდა ტერორისტულ აქტებს ატირაუში**

ადგილობრივი გენერალური პროკურატურის მონაცემებით, გამოვლინდა და განიარაღებულია დამნაშავე ჯგუფის ოთხივე წევრი. გამომძიებლებმა დაადგინეს, რომ ეს დაჯგუფება შეიქმნა 2009 წელს. ტერორისტები მოქმედებდნენ რადიკალური ორგანიზაციის – „ხალიფატის ჯარისკაცები" – მითითებით.



**ნობელიანტები — 2011**

# ახალი მიმართულების ფუძემდებელი

**ამ შემოდგომაზე შვედეთში 110-ჯერ შედგა ნობელის კვირეული — როცა ცხადდება მეცნიერების დარგში ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს, ნობელის პრემიის ლაურეატთა ვინაობა.**

მკითხველს შევახსენებთ, რომ სახელგანთქმული შვედი ინჟინრის, გამომგონებლისა და მეწარმის ალფრედ ბერნჰარდ ნობელის (1833-1896 წ.წ.) სახელობის პრემია 1901 წლიდან მიენიჭება, იმისსავე ანდერძის თანახმად, ფიზიოლოგია-მედიცინის, ფიზიკის, ქიმიის, ლიტერატურისა და მშვიდობის სფეროებში თავგამოჩენილ პირებს. 1968 წელს ამ ნუსხას დაემატა ეკონომიკის დარგი.


დანიელ შეხტმანი

**ქიმიის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატად სტოკჰოლმში დასახელებულია ისრაელელი სწავლული დანიელ შეხტმანი — კვაზიკრისტალების აღმოჩენისათვის.**

კვაზიკრისტალები მყარ სხეულთა სტრუქტურის ორგანიზების ერთ-ერთი ფორმაა და ფლობენ ჩვეულებრივი კრისტალებისათვის „აკრძალულ" სიმეტრიის ღერძებს, კერძოდ, მეშვიდე, მერვე და სხვა რიგებისა. საერთოდ, ის სიმეტრიის ღერძი, რომელიც აქვთ კვაზიკრისტალებს, აღკვეთილია კლასიკურ კრისტალოგრაფიაში.

შეხტმანის აღმოჩენა იქცა ქიმიაში ახალ პარადიგმად — კრისტალებზე ტრადიციული წარმოდგენების შეცვლით. კვაზიკრისტალების შესწავლა ჭეშმარიტად მომავლის დისციპლინათშორისო მეცნიერებაა, თავის თავში ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკისა და მასალებზე სწავლების გამაერთიანებელი. ამ სფეროში ამჟამად ბევრი მკვლევარი მუშაობს, ფუძემდებელი კი ერთია — დღევანდელი ლაურეატი.

კვაზიკრისტალის სტრუქტურის პირველი მიკროფოტოგრაფია შეხტმანმა 1982 წელს მოიპოვა. კრისტალების ჩვეულ გამოსახულებათაგან განსხვავებით, კვაზიკრისტალში ატომების განლაგების სურათი პერიოდულად არ მეორდება. მკვლევარის შედეგებს სამეცნიერო წრეები არაერთგვაროვნად შეხვდნენ და თავისი ნაშრომის დასაცავად ის იძულებული გახდა, რომ დაეტოვებინა კვლევითი ჯგუფი, რომელშიც იმ მომენტში შედიოდა.

1984 წელს შეხტმანმა მიიღო ალუმინისა და მანგანუმის იმ შენადნობის ლიფრაქციული სურათი, რომელიც გალღობის შემდეგ სწრაფად გაცივდა. სურათით თუ ვიმსჯელებთ, მასალა სავსებით მოწესრიგებულია, რაზეც მეტყველებს მკაფიო ნათელი წერტილების — ანარეკლების ან რეფლექსების — არსებობა. მასალა რომ ყოფილიყო არა კრისტალური, არამედ ამორფული (როგორც მინაძ, მაშინ მკაფიო წერტილების ნაცვლად სულ სხვა სურათი გადაგვეშლებოდა...

ისრაელელი ქიმიკოსი დანიელ შეხტმანი თელ-ავივში დაიბადა 1941 წელს. ბაკალავრის ხარისხი 1966-ში მოიპოვა ტექნიონში, მაგისტრისა — 1968 წელს, ფილოსოფიის დოქტორისა — 1972-ში. ამის შემდეგ აშშ-ში, ოჰაიოს შტატში, ავიაბაზის ლაბორატორიაში, სამი წელიწადი შეისწავლიდა ტიტანის ალუმინიდების თვისებებს. 1975 წელს მოეწყო ტექნიონის მასალათმცოდნეობის ფაკულტეტზე. 1981-1983 წლებში ის შემოქმედებით მივლინებაში იმყოფებოდა ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში, სადაც შეისწავლიდა გარდამავალ ლითონებთან ალუმინის სწრაფადგაცივებულ შენადნობებს. ამ კვლევას შედეგად მოჰყვა იკოსაედრული ფაზის აღმოჩენა და შემდგომი აღმოჩენა კვაზიპერიოდული კრისტალებისა...

1996 წელს შეხტმანი აირჩიეს ისრაელის მეცნიერებათა აკადემიის წევრად, 2000-ში აშშ-ის ეროვნული ტექნიკური აკადემიის წევრად, 4 წლის შემდეგ კი — ევროპის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. 70 წლის სწავლული ამჟამად ხაიფაში (ისრაელიძ ტექნოლოგიების ინსტიტუტისა და აიოვას (აშშძ შტატის უნივერსიტეტის პროფესორია.

# იმუნურ სისტემაზე წარმოდგენის ძირეული შეცვლით


ბრიუს ბეტლერი

**სტოკჰოლმში კაროლინის სამეფო სამედიცინო-ქირურგიულ ინსტიტუტთან არსებულმა ნობელის კომიტეტმა დაასახელა მედიცინისა და ფიზიოლოგიაში პრემიის მფლობელთა სახელები. იმუნოლოგიაში შრომებისათვის ლაურეატები გახდნენ ბრიუს ბეტლერი, რალფ შტეინმანი და ჟულ ჰოფმანი.**

ბეტლერმა და ჰოფმანმა თანდაყოლილი იმუნიტეტი გამოიკვლიეს. შესრულდა არაერთი ექსპერიმენტული შრომა, რომელთა დახმარებით გასაგები შეიქნა, თუ სახელდობრ როგორ ხდება თანდაყოლილი იმუნიტეტის სისტემების ჩართვა ინფექციურ აგენტებთან შეხვედრისას და როგორ ურთიერთქმედებენ ეს სისტემები შეძენილი იმუნიტეტის (რომელიც იმუნიტეტის უფრო რთულ და სრულყოფილ ფორმას წარმოადგენსძ მექანიზმებთან. შეძენილი იმუნიტეტი გახლავთ ცოცხალი ორგანიზმების უნარი პათოგენთა ამოცნობისა და გაუვნებლებისა, თუნდაც ეგ პათოგენები არასდროს არ ყოფილიყვნენ იმათთან კონტაქტში. ეს არის ევოლუციურად ყველაზე ძველი სისტემა და ის არსებობს ყველა მრავალუჯრედიან ცხოველსა და მცენარეში.

შტეინმანმა აღმოაჩინა დენდრიტული უჯრედები და შეისწავლა იმათი მნიშვნელობა შეძენილი იმუნიტეტისათვის.

სამი მედიკოსი ნობელიანტი ერთ მილიონ დოლარს გაიყოფს ერთმანეთში.


რალფ შტეინმანი

ნობელის კომიტეტის დასკვნაში წერია, რომ ამ მეცნიერებმა „ძირეულად შეცვალეს ჩვენი წარმოდგენა იმუნურ სისტემაზე, ვინაიდან შეძლეს იმისი აქტივაციის საკვანძო პრინციპების გამოვლენა".

ბრიუს ბეტლერი დაიბადა 1957 წელს ჩიკაგოში (აშშძ, გერმანელი ებრაელის, ჰემატოლოგ ერნესტ ბეტლერის ოჯახში. მან დაამთავრა პოსადენის პოლიტექნიკური სკოლა, სან-დიეგოსა და ჩიკაგოს უნივერსიტეტები. ამჟამად ბეტლერი ლა-ხოიეს ბიომედიცინის კვლევით ინსტიტუტში მუშაობს.

ჟულ ჰოფმანი 1941 წელსაა დაბადებული ლუქსემბურგში, სტრასბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. მან რამდენიმე წელი გაატარა გერმანიაში, მარბურგის ცნობილ უნივერსიტეტში. ახლა ჰოფმანი საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტია.

მედიცინაში ნობელის პრემიის მესამე ახალი ლაურეატი რალფ შტეინმანი 1943 წელს მონრეალში (კანადაძ დაიბადა, სწავლობდა მაკჰილისა და ჰარვარდის უნივერსიტეტებში, ამჟამად ნიუ-იორკის როკფელერის უნივერსიტეტის მუშაკია.

პუბლიკაცია მოამზადეს
**ნათია თამარაშვილმა** და **თამაზ ებანოიძემ.**


ჟულ ჰოფმანი

**სიტყვა ერის გასაგონად**

# დანაშაული, რომელიც სირცხვილზე მეტია

**როგორც საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, თურქეთიდან სამუშაოდ იქ ჩასული ქართველების დეპორტაცია მოხდა. უცხო ქვეყნების 200 მოქალაქეს შორის 150 ჩვენი ქვეყნის შვილი ყოფილა! შემდგომ დღეებში ჩვენი მოქალაქეების რიცხვი კიდევ გაიზარდა. ქართველთა დეპორტაცია გრძელდება ბელორუსიიდან, პოლონეთიდან, ევროპის სხვა ქვეყნებიდან.**

არა გრცხვენიათ, ქალბატონებო და ბატონებო ნაციონალების პარტიიდან? საზღვარგარეთ ჩვენი მოქალაქეების გაყვანა-გადევნა, ხომ თქვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი იყო და არის? ჩვენი მოქალაქეების საზღვარგარეთ გაყვანა-გადევნა ხდებოდა იმ მიზნით, რომ მათ იქ გამოიმუშაონ, საკუთარი მოთხოვნები დაიკმაყოფილონ და საქართველოში თავიანთ ოჯახებსაც გამოუგზავნონ ფული საარსებოდ. ე. ი. აღმასრულებელი ხელისუფლება მიზანმიმართულად ტოვებს ჩვენს მოქალაქეებს უმუშევრად, რათა მათ საზღვარგარეთ გადახვეწის შემდეგ ქვეყანაში უცხოური ვალუტა შემოიტანონ.

საზღვარგარეთ ჩვენი მოქალაქეები კონკურენტუნარიანები რომ იყვნენ, საჭიროა, პირველი კლასიდანვე კარგად შეისწავლონ ინგლისური ენა და საჭირო უნარ-ჩვევებიო, ბრძანებდა ბატონი პრეზიდენტი.

პარლამენტის სხდომაზე, სადაც განიხილებოდა ქვეყნის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი, ბატონი ზურაბ მელიქიშვილი „მთელ ერსა და ოპოზიციას უმტკიცებდა, ქვეყანაში ცხოვრების დონე მატულობს და უმუშევრობა კლებულობსო" (გაზ. ახალი თაობა. 26.10.2011ძ.

რატომ არ რცხვენია ასეთი განცხადების ბატონ მელიქიშვილს?

იქნებ ბრძანოს, როგორ მოიმატა მევენახე კაცის ცხოვრების დონემ, თუ მან შარშან ბაზარზე გამოტანილი ყურძენი 1-0,8 ლარად გაყიდა, ხოლო წელს (2011 წ.ძ ვერ ყიდის 0,5-0,4 ლარად? თუ ყურძნის ფასი, ისე როგორც სხვა პროდუქტების ფასი, ბაზარმა უნდა დაარეგულიროს, მაშინ რატომ ერევა აღმასრულებელი ხელისუფლება სხვის საქმეში?

ალბათ, საჭიროა გავიხსენოთ, რომ 1812 წლის სამამულო ომი რუსეთის იმპერიამ იმიტომ დაიტეხა, რომ მან ვერ, ან არ შეასრულა საფრანგეთთან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და აღადგინა ვაჭრობა ინგლისთან. ასე იქცევიან არა მარტო იმპერიები, არამედ პატარა ქვეყნებიც, ვინც თავისი ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს იცავს.

აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა არც ერთმა ღონისძიებამ (გამოწვევებზე პასუხმაძ არ გაამართლა. ბლოკადაში მოქცეულ სომხეთში იქაურ მოქალაქეებს უფრო მაღალი ცხოვრების დონე აქვთ, ვიდრე ჩვენს მოქალაქეებს საქართველოში.

დღეს, როდესაც ნატოში საქართველოს არ იღებენ, არც ევროკავშირში გაწევრება არის მოსალოდნელი უახლოეს წლებში (თუ არ დაიშალა ევროკავშირი, დიდი წარმატება იქნება დასავლეთ ევროპისათვისძ, როდესაც გაფიცვები დაიწყო ევროპასა და აშშ-ში, ჩვენს აღმასრულებელ ხელისუფლებას მაინც მათი იმედი აქვს და არა საკუთარი ხალხის. ნაციონალებს ხელისუფლებაში კვლავ უმრავლესობით მოსვლით სურთ საქართველოს ტერიტორიის დანაწილება გარდაუვალ ისტორიულ მოვლენად გაასაღონ და ცდილობენ რადაც არ უნდა დაუჯდეთ, არ დაუშვან სხვა ხელისუფლების ხელშეწყობით, საქართველოს მოქალაქეების და სხვათა ძალისხმევით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

ასეთ მისწრაფებას ძალიან დიდი დანაშაული ჰქვია და იგი სირცხვილზე გაცილებით მძიმეა. ჩვენ ვისურვებდით, რომ ასეთი დიდი ცოდვა არ დაიდონ ქალბატონებმა და ბატონებმა ხელისუფლებიდან და მათმა შთამომავლებმა.

**ნუგზარ კობახიძე.**
**ქ. ბოლნისი**

**ინფორმაცია**

## სარკოზიმ ნეთანიაჰუს „მატყუარა" უწოდა

**საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს „მატყუარა" უწოდა.**



**ფრანგული გამოცემა „Arret Sur Images"-ის ინფორმაციით, ეს განცხადება 3 ნოემბერს „დიდი ოცეულის" სამიტზე გაკეთდა.**

**მისსივე ინფორმაციით, სარკოზისა და აშშ-ის პრეზიდენტის ბარაქ ობამას პირისპირ საუბრის მოსმენა ჟურნალისტებმა ტექნიკური ხარვეზის გამო შეძლეს.**

**საუბრის მთავარი თემა ახლო აღმოსავლეთის პრობლემის დარეგულირება იყო.**

**„ობამამ სარკოზის იმის გამო უსაყვედურა, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ აშშ UNESCO-ში პალესტინის ავტონომიის მხარდაჭერის თაობაზე საკუთარი განზრახვის შესახებ არ გააფრთხილა, რის შემდეგაც საუბარი ისრაელის პრემიერის შესახებ წარიმართა. „მისი დანახვა არ შემიძლია, ის მატყუარაა", — განაცხადა სარკოზიმ, რაზეც ობამამ უპასუხა: „აი, თქვენ უკვე მოგბეზრდათ, მე კი მუდმივად მიწევს ამ საქმეების გარჩევა" — წერს „Arret Sur Images".**

**თავის მხრივ, გამოცემა „The Jerusalem Post" ამტკიცებს, რომ ჟურნალისტებს, რომლებმაც ეს საუბარი მოისმინეს, სთხოვეს, მისი შინაარსი საჯარო არ გაეხადათ.**

„პირველი"

კალათბურთი

# „არმია“ იწყებს და იგებს



**ორი წლის წინათ გერმანიის „გეტინგენმა“ ევროჩელენჯზე დებიუტი ერთ-ერთი პრესტიჟული საკლუბო ტურნირის მოგებით აღნიშნა.**

**მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და მისი შემადგენლობა ძირფესვიანად შეიცვალა, თუმცა ლეგიონერთა სიმცირეს არც მიმდინარე სეზონში უჩივის.**

ანალოგიური სურათია საერთაშორისო სარბიელზე პირველად მოასპარეზე თბილისის „არმიაშიც“, ამიტომ სავსებით ლოგიკურად გამოითქვა ვარაუდი, რომ წლევანდელი ევროჩელენჯის ჯგუფური რაუნდის სასტარტო ბრძოლის ბედს, რომელსაც თბილისის სპორტის სასახლე მასპინძლობდა, სწორედ მეტოქეთა უცხოელი ვარსკვლავების დუელი გადაწყვეტდა.

ასეც მოხდა — ყვითელი ავტობუსებით ორგანიზებულად მოყვანილ მრავალრიცხოვან ჯარისკაცთა მხურვალე მხარდაჭერით გამხნევებულმა კოტე ტუღუშის შეგირდებმა მხოლოდ პირველ წუთზე მისცეს სტუმრებს დაწინაურების საშუალება — 4:0. აქედან მოყოლებული, საქართველოს მოქმედი ჩემპიონი სოლიდურ უპირატესობას დაეუფლა და, მართალია, რამდენჯერმე სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა, მაგრამ მაინც უპრობლემოდ მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე — 82:76.

**„არმია“:** „გეინსი — 24, თომასი — 18 (13 მოხსნაძ, რობინსონი — 17 (9 მოხსნაძ, დიასი — 10, შელბომი — 9, ბოისა — 4 ქულა.

„გეტინგენს“ ყველაზე მეტი ქულა მოუტანეს ჰორნმა — 19 ქულა და მაკფარამ — 18 ქულა.

დავძენთ, რომ ვიპ-ლოჟას ყოვლისშემძლე ძმები ახალაიები, აკაკი მინაშვილი და სოსო თოფურიძე ამშვენებდნენ. ჰოდა, გეკითხებით — ჰქონდათ კი არმიელებს მათი თანდასწრებით დამარცხების უფლება?!

და კიდევ. თბილისში გამომგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ავტოკატასტროფაში გერმანული კლუბის ერთ-ერთი კალათბურთელი დაიღუპა. ვითომ, ძნელი იყო მისი ხსოვნისათვის წუთიერი დუმილით სათანადო პატივის მიგება?

**15 ნოემბერს „არმია“ სტამბოლში „ბეშიქთაშს“ შეხვდება.**

ტყვიის სროლა

# სტუმართა უპირატესობით

**ოლიმპიური ჩემპიონის ნინო სალუქვაძის ტირში სახელოვანი ქართველი ჩუბინის, სამგზის ევროპის ჩემპიონისა და ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსნის შოთა ქველიაშვილის თასი გათამაშდა პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში. მთავარი პრიზისთვის მასპინძლებთან ერთად აზერბაიჯანელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ, მათ შორის ათენის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ირიდა აშუმოვა.**



დაძაბული პაექრობების შემდეგ ქალებში 479,7 ქულით პირველი ადგილი აშუმოვამ დაიკავა. გამარჯვებულს 1,8 ქულით ჩამორჩა ნინო სალუქვაძე. 469,8 ქულით მესამე ადგილზე ნიჯარ ბაგიროვა გავიდა.

ვაჟებში წარმატებას სტუმრებმა მიაღწიეს — 676,5 ქულით პირველობა არავის დაუთმო რასულ მამედოვმა. 665,2 ქულით მეორე იყო ლევან ქადაგიძე, 658,6 ქულით „ბრინჯაო“ დავით ახვლედიანს ხვდა.

**ლაშა დიდია**

სურათზე: ნინო სალუქვაძე (მარჯვნივძ და ირიდა აშუმოვა.
ვაჟა დანელიას ფოტო.

ფეხბურთი

# ცხელი შემოდგომა

**მაინც, ვინ ჩაყო, იმ დალოცვილმა, ხელი იმ ბურთულებში?**

დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების მეოთხედფინალისტთა კენჭისყრაზე მოგახსენებთ, რომელმაც ქუთაისის „ტორპედო“ და „ზესტაფონი“ დააწყვილა. მორიგი ზეპრინციპული იმერული დერბის პირველ რა-



უნდს წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი უმასპინძლებს 24 ნოემბერს, ხოლო საპასუხოს — ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი — 7 დეკემბერს. მოკლედ, წინ გია გეგუჩაძის ძველი და ახალი კლუბების კიდევ ორი დიდი ჯახი გველის.

აღსანიშნავია, რომ რიონისპირა ქალაქში გასამართ პირველ შეხვედრამდე მასპინძლებს 20 ნოემბერს საქართველოს ჩემპიონატის ცენტრალურ მატჩში თბილისის დინამოელებთან უწევთ გასვლაზე თამაში, ხოლო 27 ნოემბერს ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი უკვე ყვირილასპირელებს მოუწყობს გამოცდას სტუმრად.

საინტერესოა, რამდენად წარმატებით გაართმევენ თავს ორ ფრონტზე ბრძოლას ლიხსიქითელები.

**დასასრულ, დანარჩენ წყვილებსაც გაეცანით:** „მერანი“ (მარტვილიძ — „გაგრა“, „ბაია“ — „დილა“, „ვიტ ჯორჯია“ — „მეტალურგი“.

ჭადრაკი

# უიღბლო ტური

**ბერძნულ პორტო კარასში მოჭადრაკეთა გუნდური ევროპის ჩემპიონატის მე-6 ტურში წარუმატებულად ითამაშეს საქართველოს წარმომადგენლებმა. ქალთა გუნდმა უკრაინის ნაკრებთან წააგო 1,5:2,5 (ნანა ძაგნიძე — კატერინა ლახნო 0:1, ლელა ჯავახიშვილი — ნატალია ჟუკოვა 0,5:0,5, ნაზი პაიკიძე — ანა უშენინა 0:1, ნინო ხურციძე — მარია მუზიჩუკი 1:0ძ. გათამაშების ლიდერები რუსები პოლონელებს დაუზავდნენ — 2:2. მეწინავეთა დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ჩეხეთი — საფრანგეთი 1,5:2,5, უნგრეთი — სლოვენია 1,5:2,5, სერბეთი — ჰოლანდია 2,5;1,5, საბერძნეთი — სომხეთი 1:3, გერმანია — რუმინეთი 3:1.**

ექვსი ტურის შემდეგ 11 ქულით ისევ რუსეთი ლიდერობს, 10 ქულით მეორე ადგილზეა უკრაინა, ქულით ნაკლები აქვს პოლონეთს.



ვაჟთა ტურნირში საქართველოს ნაკრები სლოვენიასთან დამარცხდა 1,5:2,5 (ბაადურ ჯობავა — ალექსანდრ ბელიავსკი 0,5:0,5, დავით ზარქუა — მატეი ზებუნიკი 0,5:0,5, მიხეილ მჭედლიშვილი — იური ბორისეკი 0,5:0,5, ლევან ფანცულაია — ლუკა ლენიჩი 0:1ძ. საფრანგეთი — ბულგარეთი 2:2, საბერძნეთი — რუმინეთი 1,5:2,5, რუსეთი — აზერბაიჯანი 1,5:2,5, სომხეთი — ესპანეთი 2,5:1,5. შეჯიბრების დამთავრებამდე სამი ტურით ადრე 10-10 ქულით რუმინეთი, აზერბაიჯანი და ბულგარეთი მეწინავეობენ. საქართველოს ნაკრებს 6 ქულით მე-16 ადგილი უკავია.

* * *

**საბერძნეთში დიდოსტატთა პაექრობების პარალელურად ევროპის საჭადრაკო კავშირის გენერალური ასამბლეა გაიმართა, რომელმაც რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაც მიიღო:** 2012 წლის პირველი იანვრიდან ესკ-ს ოფიციალურ შეჯიბრებებზე მოჭადრაკეებს 40 სვლამდე ყაიმის შეთავაზება ეკრძალებათ; მოასპარეზეებისა და ჩინოვნიკებისთვის სავალდებულო იქნება დრეს კოდი. ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტმა სილვიო დანაილოვმა და თურქეთის ჭადრაკის ფედერაციის თავკაცმა ალი ნიჰატ იაზიჩიმ ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რომლის თანახმადაც გაისად 1-14 მარტს თურქეთში კონტინენტის მოჭადრაკე ქალთა ინდივიდუალური პირველობა გაიმართება 120 ათასი ევროს საპრიზო ფონდით.

**ლექსო ცინცაძე**

სიახლე

# ინგლისელ ფეხბურთელებს წაადგებათ?

**ალბათ, ფეხბურთის მოყვარულებს ახსოვთ, თუ როგორ გააკრიტიკეს ნისლიანი ალბიონის ნაკრების შვედი მწვრთნელი სვენ-გორან ერიქსონი, რადგან მან 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალიდან გამოვარდნილი გუნდის ფეხბურთელებს უფლება მისცა, ეცხოვრათ თავიანთ ლამაზ თანამგზავრებთან ერთად.**

ახლა კი, 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის წინ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ნება მისცა ნაკრების ფეხბურთელებს, პოლონეთსა და უკრაინაში თან წაიყვანონ ცოლები ან საყვარლები.



როგორც ჩანს, ამას ეთანხმება ნაკრების იტალიელი მწვრთნელი ფაბელო კაპელო. მისი აზრით, თავიანთ ახლობლებთან ურთიერთობაში ფეხბურთელები უკეთესად მოემზადებიან მატჩებისთვის.

ამავე დროს კაპელო იმედოვნებს, რომ ფეხბურთელთა ლამაზი თანამგზავრები, ძირითადად მოდელები და მომღერლები, ცალკე იცხოვრებენ, ხოლო თავისუფალ დროს შეხვდებიან მათ. რაც მთავარია, იტალიელი დამრიგებელი მოითხოვს დისციპლინის განუხრელ დაცვას, ნაკრების შეკრების დროს მობილური ტელეფონების დატოვებასა და გუნდთან ერთად საკვების მიღებას.

დანაშაული

# სისხლიანი ფრენბურთი

**ფრენბურთში მატჩის დროს უცნობების თავდასხმის დროს მექსიკაში დაიღუპა რვა ადამიანი, შვიდი კი დაიჭრა.**

ეს ტრაგიკული შემთხვევა მოხდა სინალოას შტატის ქალაქ კულიაკანში. იქაური პროკურორის განცხადებით, თავდამსხმელები შეხვედრაზე მივიდნენ ერთი მიზნით — დაეხოცათ მათთვის ცნობილი ადამიანები. ითქვა, რომ ორი ნიღბიანი ადამიანი უთითებდა ბანდიტებს, თუ ვისთვის უნდა ესროლათ. დაშავდნენ ცეცხლში მოხვედრილი სპორტსმენებიცა და მაყურებლებიც. პროკურორის თქმით, ეს იყო ნარკოტმოქმედთა დაჯგუფებების ურთიერთდაპირისპირების შედეგი.

ცნობილია, რომ სინალოაში მოქმედებს იმავე სახელის კარტელი, რომელიც შეიარაღებულ ბრძოლას ეწევა მეორე დაჯგუფებასთან — ტიხუნასთან. საერთოდ კი მექსიკა ახლა არის დაძაბულობის კერა — იქ ღიად მიმდინარეობს ბრძოლა ხელისუფლებასა და ნარკოტიკების შეიარაღებული ჯგუფების შორის. ისინი მკაცრად უსწორდებიან იმათ, ვინც მათ არ ემორჩილებიან. კარტელები ერთმანეთსაც ებრძვიან.

ნბა

# სეზონი საბოლოოდ იშლება?




**გუშინწინ საღამოს 17 საათზე ჩრდილო ამერიკული დროით, რაც ჩვენებურად გუშინდელი შუაღამის 2 საათია, ვადა გაუვიდა ნბა-ს ულტიმატუმს მოთამაშეთა პროფკავშირისადმი. როგორც ცნობილია, ლიგას შეთავაზებით სპორტული შემოსავალი უნდა განაწილებულიყო ასეთი შეფარდებით 51-49-ზე კალათბურთელთა სასარგებლოდ. თუ ამ ვადაში პროფკავშირი არ დათანხმდებოდა, მაშინ კლუბების ხელმძღვანელების პოზიცია საგრძნობლად გამკაცრდებოდა.**

როგორც ნბა-ს კომისარმა დევიდ სტერნმა განაცხადა, ასეთ შემთხვევაში ლიგა მოითხოვდა ხელფასის მკაცრი ჭერის დაცვას და მოთამაშეთა და გუნდებს შორის მოქმედი კონტრაქტების ფინანსური პირობების გადასინჯვას, აგრეთვე მოთამაშეთა წილის შემცირებას 51-დან 47 პროცენტამდე. ეს კი გამოიწვევდა პროფკავშირის ახლანდელი ხელმძღვანელობის დაშლას, მოლაპარაკებათა პროცესის ჩაშლასა და 2011-2012 წლის სეზონის გაუქმებას.

ნბა-ს ხუთგზის ჩემპიონმა „ლეიკერსის“ შემადგენლობაში კობი ბრაიანტმა ასეთ მდგომარეობას „ატომური ზამთარი“ უწოდა და მხარეებს მოუწოდა, რაც შეიძლება მალე მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას.

ინტერნეტიდან

# ლამაზმანთან ურთიერთობა სახიფათოა

**ასე მიიჩნიეს, როდესაც ბუქარესტის „სტიაუას“ ფეხბურთელმა მიხაი კოსტიამ „თავი დაკარგა“ რუმინელი ლამაზმანისა და მოდელის დანიელა კრუდუს გამო.**



ისინი ერთი თვეა, რაც ხვდებიან და მათი დამოკიდებულება სერიოზულია. ერთხელ პაპარაცებმა 23 წლის ფეხბურთელი დანიელას სახლიდან გამოსვლისასაც გადაიღეს.

დანიელა კი ცნობილია თავისი გამოსვლებით სტრიპკლუბებში, საღამოში 600 ევროს რომ ღებულობს. კოსტიას გატაცებით უკმაყოფილოა „სტიაუას“ მფლობელი ჯიჯი ბეკალი. მას მიაჩნია, რომ ბოლო დროს ფეხბურთელი დაღლილი ჩანს. მან თავს უნდა მიხედოს, რათა მინდორზე გამოწურული ლიმონივით არ გამოიყურებოდესო.

სკანდალი

# თეატრი... ფსკერზე

**მოსკოვის დიდი თეატრის საბალეტო დასის ყველაზე პოპულარულმა მსახიობმა ნიკოლოზ ცისკარიძემ, თეატრის ექვსწლიანი რეკონსტრუქციის დასრულების შემდეგ, კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა ჩატარებული სამუშაოები, რის გამო იგი გალა-კონცერტზე აღარ მიიწვიეს! თავად ცისკარიძემ კი განაცხადა, ეს იმიტომ გააკეთეს, რომ თეატრიდან ჩემს დათხოვნას აპირებენო.**

— მინდა სწორად გამიგონ, მე ოპოზიციონერი კი არა, დიდი თეატრის ნაწილი ვარ, სადაც 20 წელი პირველ როლებს ვასრულებდი, — ამბობს ცნობილი მოცეკვავე. — მაგრამ არ მინდა, რომ მეც მატყუებდნენ და მაყურებელსაც. **დიდი თეატრის რეკონსტრუქცია — ეს ერთი დიდი გაუგებრობაა.** ის, რაც მსახიობებს გაუკეთეს, საშინელებაა: კერძოდ, **თეატრის სცენა მეორე სართულზეა, ქალთა კორდებალეტი კი — მეშვიდეზე. სპექტაკლის დროს ლიფტებით სარგებლობა აკრძალულია, ამიტომ ბალერინებს წარმოდგენის მსვლელობისას ზევით-ქვევით უწევთ სირბილი... თეატრის ხელმძღვანელობა იმით ტრაბახობს, რომ ყველა საგრიმიოროს ცალკე საშხაპე აქვს. საშხაპე, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ ფანჯრების გაჭრას განა რა უნდოდა? მსახიობი თეატრში 12 საათს ატარებს ხოლმე, საგრიმიოროებში — მუდამ 14-15 კაცი ირევა, წარმოგიდგენიათ საღამოობით იქ რა დახუთულობაა ხოლმე?** უფანჯრობას სასაცილო მიზეზით ხსნიან — დღის სინათლე გრიმის დადებას ხელს უშლისო...

კულისებში კაფელის ფილები დააგეს, ადრე კი იქ პარკეტის იატაკი იყო. ბალერინებს ფილებზე ფეხი უცურდებათ, ტრავმებს იღებენ, თანაც იატაკი ცივია, მოცეკვავეები კი, ფაქტობრივად, ფეხშიშველები გამოდიან. ახალი სარეპეტიციო დარბაზები საერთოდ საშინელებაა — ბალერინას ისე ვერ აწევ, თავი ჭერს არ მიარტყას...

**ამბობენ, თეატრის რესტავრაციაზე უამრავი ოქრო დაიხარჯაო, მაგრამ რომ ნახოთ, იქ, სადაც ადრე ორნამენტები მოოქროვილი იყო, ახლა მხოლოდ წებოთი დამაგრებული პლასტმასებია...**

ადრე თეატრის საბალეტო დასის ხელმძღვანელად დანიშვნას მიპირებდნენ, მაგრამ მერე გადაიფიქრეს, შემდეგ კულტურის მინისტრმა ავდეევმა ძალიან დიდი თანამდებობა შემომთავაზა ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქში, რომელიც სამხატვრო ხელმძღვანელობაზე გაცილებით დიდია. ძალაუფლება რომ მღომოდა, სიხარულით დავთანხმდებოდი, მაგრამ მე მოსკოვი მიყვარს, დიდი



თეატრი ჩემი სახლია... **ახლა კი მის გახსნაზე გამართულ გალა-კონცერტზეც არ დამპატიჟეს, თუმცა კი მაღალ საზოგადოებაში აღმოვჩნდი, რადგან იმ საღამოზე ასევე არ მიიწვიეს თამარ სინიავსკაია, ზურაბ სოტკილავა, გალინა ვიშნევსკაია — ისინი დიდი თეატრის ხელმძღვანელობამ კი არა, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ დაპატიჟა.**

თანაც ძალიან მორიდებულად ამიხსნეს, რომ დიდი თეატრის სცენაზე გამოსვლაზე შემიძლია აღარც ვიოცნებო. ჩემით წასვლას ნამდვილად არ ვაპირებ, თეატრის ადმინისტრაციას კი ჩემი დათხოვნისთვის არანაირი საბაბი არ აქვს, თუმცა რაღაც სისულელეზე საყვედური უკვე გამომიცხადეს, ახლა კი თეატრის პედაგოგებში ხელმოწერებს აგროვებენ ჩემს გათავისუფლებაზე. ისე კი თავის დროზე ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ ზურაბ სოტკილავაც და გალინა ვიშნევსკაიაც...

ჩვენმა სახელოვანმა მომღერალმა ზურაბ სოტკილავამ ასევე აღნიშნა, რომ დიდი თეატრის გახსნამ მასზე არცთუ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

— გალა-კონცერტზე ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს ფხენიანში, კიმ ირ სენის დღესასწაულს ვესწრებოდი, — თქვა ბატონმა ზურაბმა. — მხოლოდ ორი საბალეტო ნომერი იყო ამ დონის ღონისძიების საკადრისი — ზახაროვისა და ალექსანდროვის, დანარჩენები კი ისე რა. თანაც ვიცი, რომ ობრაზცოვაც, ვიშნევსკაიაც და ნესტერენკოც ამ აზრისა არიან.

ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, თუ რა ხმები იჟღერებენ დიდი თეატრის სცენაზე, ვიდრე ის, რომ მოოქროვილი ბრინჯაო პლასტმასით შეცვალეს... დასში არიან კარგი ხმები, მაგრამ მათ ასპარეზს არ აძლევენ ისინი, ვისაც თეატრში ძალაუფლება აქვს. არადა ამ „მეთაურთაგან" ზოგიერთი თავის დროზე კონსერვატორიიდან გავყარე არაპროფესიონალიზმის გამო... ტყუილად როდი ვამბობდი, რომ დიდი თეატრი ფსკერზეა. ახლა კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამაში...

**ოთარ მერიშვილი**

ინფორმაცია

### ამომრჩევლებს პასპორტებში ბეჭედს ჩაურტყამენ

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე ამომრჩევლებს პასპორტებში ბეჭედს ჩაურტყამენ. ამის შესახებ „ოსინფორმი"იუწყება.**

**პასპორტის ყდის შიდა მხარეს 1,5 სანტიმეტრის რადიუსის ბეჭედს იმ ამომრჩეველს ჩაურტყამენ, რომელიც ხმას ერთხელ უკვე მისცემს. როგორც დე ფაქტო ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელმა ვლადიმერ ძიგოევმა განმარტა, ამ გზით გაკონტროლდება ხმის მიცემა.**

**მისივე ინფორმაციით, ბეჭდები საარჩევნო უბნებზე უკვე გადაიგზავნა.**

**ე.წ. სამხრეთ ოსეთში საპრეზიდენტო არჩევნები 13 ნოემბრისთვის არის დანიშნული.**



ტესტი

# გავიხსენოთ ყველაფერი!

**ფილოსოფოსებს უთქვამთ: „ერთგული და საქმიანი მეხსიერება სიცოცხლეს ახანგრძლივებსო". ტესტი დაგეხმარებათ განსაზღვროთ, რა მდგომარეობაშია თქვენი მეხსიერება.**

1. თუ ხდება ხოლმე, რომ გავიწყდებათ დაგეგმილი შეხვედრა?
2. თუ შეგიძლიათ ახლა დაასახელოთ თქვენი პირველი მასწავლებელი სკოლაში?
3. მოულოდნელად გამოგრჩებათ ხოლმე თქვენი საყვარელი სატელევიზიო გადაცემა იმიტომ, რომ უბრალოდ გავიწყდებათ ეს?
4. გიჭირთ ადამიანის სახის დამახსოვრება?
5. ზოგჯერ ტრანსპორტში გავიწყდებათ თქვენი რამე?
6. ზოგჯერ გიჭირთ გაიხსენოთ პოპულარული ფილმების სახელწოდებები, ცნობილი მსახიობების გვარები?
7. თუ ყოფილა შემთხვევა, რომ დაგავიწყდათ თქვენი სახლის ტელეფონის ნომერი?
8. როდესაც ბინიდან გამოდიხართ, ზოგჯერ იძულებული ხართ დაბრუნდეთ საფულისთვის, გასაღებისთვის ან მართვის მოწმობისთვის?
9. წაიკითხოთ ზეპირად რომელიმე ლექსი, რომელსაც სკოლის წლებში გასწავლიდნენ, თქვენთვის ძნელია?
10. ძნელად შეგიძლიათ ჩამოთვალოთ ყველა ამბავი, რაც ერთ დღეში მოხდა?
11. ადვილად გაიხსენებთ ყველაფერს, რაც გუშინ სადილად მიირთვით?
12. ხშირად თუ გიწევთ იმის გახსენება, სად დადეთ ესა თუ ის ნივთი?
13. როდესაც მაღაზიაში მიდიხართ, ზოგჯერ თუ გავიწყდებათ რაიმე დაგეგმილის ყიდვა?
14. ზოგჯერ თუ გამოგრჩებათ ხოლმე მეგობრის ან რომელიმე ნათესავის დაბადების დღეები?
15. თუ გიჭირთ ხოლმე გადმოსცეთ იმის შინაარსი, რაც ცოტა ხნის წინათ წაიკითხეთ ჟურნალში, გაზეთში ან წიგნში?

**ქულების შეჯამებით გააკეთეთ დასკვნა**

**ყოველი უარყოფითი პასუხისთვის დაიწერეთ 2 ქულა, დადებითისთვის — ქულები არ ირიცხება.**

**0-12 ქულა. ალბათ თქვენი მეხსიერება საუკეთესო მდგომარეობაში არ არის და მას მხარდაჭერა სჭირდება. ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალება არა მხოლოდ მეხსიერების აღდგენისთვის, არამედ მისი განვითარებისთვისაც — ეს არის ლექსების ზეპირად სწავლა. მეტად სასარგებლოა შეეცადოთ ნეიტრალური ინფორმაცია გარდაქმნა სახეებად. მაგალითად, როდესაც ქუჩაში მიდიხართ, ყურადღებას აქცევთ მანქანების ნომრებს და ცდილობთ წინადადების შედგენას მათზე არსებული ასოებით. მეცადინეობა მარტივია, მაგრამ ეფექტიანი. ნაყოფიერ ზეგავლენას თქვენს დამახსოვრების უნარზე მოახდენს ვიტამინები — ნუ უგულებელყოფთ მათ, ავი წევას კი, შექლებისდაგვარად, თავი უნდა დაანებოთ.**

**14-22 ქულა. მთლიანად შედეგი ცუდი არაა, მაგრამ იმისთვის, რომ მეხსიერებამ არასოდეს გიღალატოს, საჭიროა მისი მუდმივი ვარჯიში. თუ უნდა ისწავლო რთული რამე, ეს უნდა გააკეთო ნაწილ-ნაწილ, დროის მოკლე მონაკვეთებში. როდესაც ტექსტთან მუშაობთ, ნუ დაგეზარებათ, იკითხოთ იგი ხმამაღლა, ასე მისი ათვისება გაცილებით იოლია. დასამახსოვრებელ მასალაში დააზუსტეთ ყველა წვრილმანი, თუნდაც ყველაზე პატარა და უმნიშვნელო. სცადეთ შემდეგი რამე: დასამახსოვრებლად ყველა რთული რამე შეეცადეთ დაუკავშიროთ თქვენთვის ნაცნობ რაიმე ინფორმაციას ან ცნებას — ბევრს ეხმარება ნათელი ასოციაციები.**



**24-30 ქულა. თუ თქვენს პასუხებში გულწრფელი იყავით, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ თქვენ საკმაოდ კარგი მეხსიერება გაქვთ. მხოლოდ ნუ შეეცდებით, რომ ყველაფერი იქონიოთ გონებაში, ზოგჯერ მეტად სასარგებლოა დაივიწყო ზედმეტი ინფორმაცია, რითაც შენ მეხსიერებას აძლევ განტვირთვისა და დასვენების საშუალებას.**

Аргументы и Факты

განათლება

# საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს დათხოვის საფუძვლები ფართოვდება

**ამასთან დაკავშირებით ცვლილება „ზოგადი განათლების შესახებ" კანონში შედის.**

**კანონის მოქმედი რედაქციით, სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილება უწყდება საჯარო სკოლის რეორგანიზაციის შემთხვევაში, რომელსაც საჯარო სკოლების გაერთიანება/მიერთება ან ერთი საჯარო სკოლის გაყოფა/გამოყოფა ერთვის თან.**

ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეუძლია საბჭო გაფრთხილების გარეშე დაითხოვოს თუ იგი უკანონოდ გაათავისუფლებს დირექტორს. ამ შემთხვევაში ფაქტი სასამართლოს მიერ უნდა იყოს დადასტურებული.

პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტით კი დგინდება, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამეურვეო საბჭოსთვის უფლებამოსილების შეწყვეტა მაშინაც შეეძლება, თუ საბჭომ მისთვის დაკისრებული ფუნქციები არ განახორციელა.

ასევე, სამინისტრო საბჭოს დაითხოვს, თუ მან სკოლის დირექტორის მიერ წარდგენილი სკოლის ბიუჯეტი, სკოლის შინაგანაწესი, დირექტორის წლიური ანგარიში ან დირექტორის მიერ წარმოდგენილი სკოლის წესდება, ზედიზედ სამჯერ არ დაამტკიცა.

ამას გარდა, სამეურვეო საბჭოსთვის უფლებამოსილების შეწყვეტის მიზეზი ხდება სკოლის დირექტორის მიერ წარმოდგენილი რიგი პროექტებისთვის სამჯერ ზედიზედ დაუთანხმებლობა.

კერძოდ, სამინისტრო საბჭო დაითხოვს, თუ ის ზედიზედ სამჯერ არ გამოხატავს თანხმობას პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალის, მათ შორის გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის თაობაზე.

კანონპროექტის ავტორი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროა, ინიციატორი კი მთავრობა.

პროექტის განხილვა პარლამენტს ჯერჯერობით არ დაუწყია.

**ინტერპრესნიუსი**

**საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უბადლო ექიმი ქირურგი და ღირსსაცნობი მამულიშვილი, აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი**

**რომან პირტახია**

**და გულითად სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**



---

**თამაზ ებანოიძე იუწყება ძველი თანაკლასელი მეგობრის**

**ელგუჯა ჩიტიაშვილის**

**გარდაცვალებას ხაშურში და თანაუგრძნობს ოჯახს.**

## ჩვენი კარაბადინი

### მამაკაცური სისუსტე

**მამაკაცები ქალებთან შედარებით უფრო მძიმედ ავადდებიან გრიპით და გაციებით, დაადგინეს ბრიტანელმა მეცნიერებმა.**



თაგვებსა და ვირთხებზე ცდების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ დედლებს ლეიკოციტების დონე საშუალოდ ორჯერ უფრო მაღალი ჰქონდათ, ვიდრე მამლებს. სწორედ ლეიკოციდები იცავენ ორგანიზმს ვირუსებისა და ბაქტერიებისგან.

ინფექციონისტები განგვიმარტავენ: „ქალებს შორის გავრცელებულია მცდარი აზრი იმის შესახებ, რომ როდესაც მამაკაცები გადაიტანენ გაციებას, ისინი აჭარბებენ საუბარს თავიანთი ტანჯვის შესახებ. ასეთი მიდგომა ძირშივე მცდარია: მამაკაცების იმუნური სისტემა მართლაც გაცილებით ნაკლებად ეფექტიანად ებრძვიან ინფექციებს, ვიდრე ქალებისა, ამიტომ მამაკაცები ბიოლოგიური მიზეზების გამო გაცილებით მძიმედ უმკლავდებიან გრიპსა და გაციებას.

მიზეზი ქალების ჰორმონ ესტროგონშია, რომელიც ზრდის მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების შემცველობას (ეს სასარგებლო ცხიმებიაძ, ამცირებს მავნე ლიპოპროტეიდებს დაბალი სიმკვრივის გამო და დაბლა სწევს ქოლესტერინის დონეს. აი რატომ არიან ქალები ნაკლებად მგძნობიარენი ვირუსული ინფექციებისადმი.

### სანერგე სენის წყარო

**მაცივრები წარმოადგენენ საფრთხეს ჯანმრთელობისთვის, მიაჩნიათ სპეციალისტებს კომპანიიდან „მიკრობან ევროპე“. ზოგიერთ ცალკეულ მაცივარში, განსაკუთრებით ხილისა და ბოსტნეულის გამოსაწევ უჯრებში, შეიძლება იყოს დიდი ოდენობის ტკივილის გამომწვევი მიკროორგანიზმები.**



ყუთებში, რომლებიც ამოიღეს 30 საოჯახო მაცივრიდან, რომლებსაც იშვიათად რეცხავენ, ვინაიდან ისინი მოითხოვენ ყინულის გალღობას, აღმოაჩინეს 129 ათასამდე ბაქტერიების კოლონიების შემქმნელი ერთეული ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე. ბაქტერიების შორისაა კუჭნაწლავის ჩხირები, სალმონელა და ლისტერია.

### 50 გრამი დღეში

**კაკლის დიეტა გვეხმარება შევამციროთ სარძევე ჯირკვლების კიბოს რისკი ორჯერ. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები, როდესაც მოაწყვეს ექსპერიმენტი სალაბორატორიო მღრღნელებში. მაკე თაგვებს კვებავდნენ ნიგვზით და აგრძელებდნენ მათთვის მის მიცემას ახალშობილი თაგვების კვების დროს. ამრიგად, წრუწუნები ღებულობდნენ ნიგოზს მთელი განვითარების პერიოდში. და თუ მომავალში მათ უჩნდებოდათ სიმსივნე, ეს სიმსივნე ავთვისებიანი არ ყოფილა.**



ამ ექსპერიმენტის საფუძველზე მეცნიერები ქალებს სთავაზობენ გამოიყენონ 50-55 გრამი ნიგოზი დღეში. ასევე ნიგოზი მდიდარია მცენარეული ცხიმებით, რაც მათ საშუალებას აძლევს შეამცირონ ქოლესტერინის დონე და გააუმჯობესონ სისხლძარღვთა მდგომარეობა. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ 100 გრამი ნიგოზი შეიცავს 60 გრამზე მეტ ცხიმებს.

### ინფორმაცია განსჯისთვის

**დიეტოლოგები გვირჩევენ, რომ მხოლოდ სამი წლის შემდეგ გადავიყვანოთ ბავშვები, როგორც ისინი ამბობენ, „საერთო მაგიდაზე“, ესე იგი, მივცეთ მათ იგივე საკვები, რასაც მთელი ოჯახი ჭამს, მაგრამ 6-7 წლამდე შევზღუდოთ მათთვის ცხარე, შებოლილი, მარილიანი და შემწვარი საკვების მიცემა.**

**აძლევთ თუ არა სკოლამდელ ბავშვებს შემწვარს, მარილიან და მარინად საკვებს?**

**45 პროცენტი — ვაძლევთ, ისინი ჭამენ მას, რასაც ყველა ჩვენგანი.**

**30 პროცენტი — იშვიათად და ცოტას.**

**15 პროცენტი — არა, ჩვენი ბავშვებისთვის ცალკე ვამზადებთ საკვებს.**

**10 პროცენტი — რა პრობლემაა?**

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, ჩა, ჩოდის?

● ცნობილმა მეცნიერმა მარგარეტ პერემ, საფრანგეთის რადიუმის ინსტიტუტის თანამშრომელმა, თავის აღმოჩენილ ელემენტს მშობლიური ქვეყნის პატივსაცემად — ფრანციუმი უწოდა, ისევე როგორც მარია სკლადოვსკაკიურიმ თავისი ქვეყნის პატივსაცემად — პოლონიუმი.

● ალექსანდრე მაკედონელი მემფისში ჩასვლის შემდეგ ეგვიპტელებმა ეგვიპტის მეფედ გამოაცხადეს. რამდენადაც მეფე-ფარაონი მზის ღმერთის ამონრას შვილად მიიჩნეოდა, მაკედონელიც ღმერთად შერაცხეს.

● როდესაც ცნობილი მათემატიკოსი სოფია კოვალსკა პატარა იყო, მისმა მშობლებმა სახლში რემონტი გააკეთეს და რადგან შპალერი არ ეყოთ, ბავშვების ოთახში მათემატიკის წიგნის ფურცლები გააკრეს.

● პავლე I-ის მმართველობის დროს ერთხელ უფლისწულმა ალექსანდრემ მამას მაგიდაზე გადაშლილი წიგნი დაუტოვა, სადაც ერთი ისტორიული სცენა იყო აღწერილი, მამამ სამაგიეროდ გადაუხადა და იგივე გაუმეორა. მხოლოდ ამჯერად სხვა წიგნი დაუდო, სადაც აღწერილი იყო პეტრე I-ის მიერ უფლისწულის დასჯა — ეს იყო ბრუტუსის მიერ კეისრის მოკვლის სცენა აღწერილი ალექსანდრეს მიერ დადებულ წიგნში.

● იღბალი მძლავრი ღვთაებაა, რომელიც არ დახარჯავს დროს მათზე, ვინც არ არის მზად მის გამოსაყენებლად.

● „თითქოსდა წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება ხელმა ზეგავლენა მოახდინოს სხეულის შენარჩუნებაზე. მთავარია, საკუთარი თავის მართვა ისწავლოთ“ — თქვა დიდმა გოეთემ, რომელმაც პირადი მაგალითით დაამტკიცეს, რომ ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე შეიძლება საკუთარი ინტელექტით მოიპოვოთ. 19 წლის გოეთეს ფილტვებიდან სისხლის დენა დაეწყო. ექიმებმა იმედი გადაუწურეს, მან კი მიზნად დაისახა, რადაც უნდა დასჯდომოდა, დაებრუნებინა ჯანმრთელობა და არა მხოლოდ დაიბრუნა, არამედ 82 წელიც იცოცხლა.

● ლეონარდო და ვინჩი, რომელიც დაბადებისას 900 გრამამდე იწონიდა, ბებიაქალებს მკვდარი ეგონათ და ჯამში გადაუძახეს. მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ, როცა ახალშობილმა ამოიკნავლა, მიხვდნენ, რომ ჩვილი ცოცხალი იყო და ყველაფერი იღონეს მის გადასარჩენად. აღორძინების ხანის ამ უდიდესმა გენიოსმა მისი დროისათვის წარმოუდგენლად დიდხანს იცოცხლა — 67 წელი. მან ინტელექტის ძალით აიძულა თავისი ორგანიზმი, ყოფილიყო ჯანმრთელი.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა


## განცხადება

ვიმუშავებ ძიძად სკოლის ასაკის ბავშვთან, შევასწავლი ინგლისურს და სხვა საგნებს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

მოვუვლი მოხუცებულს, შევასრულებ ექთნის მოვალეობას და საოჯახო საქმეს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა


## კადრი




რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.


## ანეკდოტები

— წარმოგიდგენია, გუშინ ჩემს ცოლს ვიღაც ფრანგთან შევუსწარი!
— ეუბნება პეტკა ძმაკაცს.
— მერე რა უთხარი?
— რა და როგორ უნდა მეთქვა? მე ხომ სკოლაში ინგლისურს ვსწავლობდი.

* * *

— ბიჭებო, მიშველეთ, სასწრაფოდ მჭირდება ფული პლასტიკური ოპერაციისთვის!
— ხომ გეუბნებოდით, პეტკა, ნუ იჩქარებ დაქორწინებას, კარგად დაფიქრდიო!



* * *

— აეროზიკის შემდეგ საჯდომი მტკივა.
— კი, მაგრამ, ბატონო, რას აკეთებთ იქ?
— რა ვიცი, რას არ ვაკეთებთ.

* * *

ხელისუფლება, რომელიც თავისი ხალხის ყვლეფაზეა დაფუძნებული, გარეშე მყვლეფავებისგან მაინც უნდა იცავდეს მას.


ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით ალმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24